მერაბ კაკულია ნოდარ კაპანაძე

ანტიპანდემიური შეზღუდვების და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენა დასაქმებაზე, შემოსავლებსა და სიღარიბის დონეზე საქართველოში



2020

RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

მერაბ კაკულია ნოდარ კაპანაძე

ანტიპანდემიური შეზღუდვების და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენა დასაქმებაზე, შემოსავლებსა და სიღარიბის დონეზე საქართველოში

თბილისი 2020

კვლევა განახორციელა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდმა (რონდელის ფონდი) ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით.

კვლევის ხელმძღვანელი: პროფესორი მერაბ კაკულია

წამყვანი მკვლევარი: ნოდარ კაპანაძე

პროექტის ასისტენტი: ლალი ქურხული

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ავტორთა პირადი მოსაზრებები.

დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული მასალების კომერციული მიზნით გამოყენება ფონდის თანხმობის გარეშე.

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი, 2020

ISBN 978-9941-8-2847-8

შინაარსი

შესავალი 5

1. პანდემიური ეკონომიკური კრიზისის თავისებურებანი 7

2. საქართველოს მთავრობის ანტიპანდემიური და ანტიკრიზისული ღონისძიებები 13

3. კვლევის მეთოდოლოგია 17

4. დასაქმება 25

4.1. ანტიპანდემიური შეზღუდვების და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების შედეგების სიმულაციური ანალიზი 2019 წლისთვის 25

4.2. მოსალოდნელი შედეგები 2020-2021 წლებში 30

5. შემოსავლები 37

5.1. ანტიპანდემიური შეზღუდვების და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების შედეგების სიმულაციური ანალიზი 2019 წლისთვის 37

5.2. მოსალოდნელი შედეგები 2020-2021 წლებში 41

6. სიღარიბე 44

6.1. ანტიპანდემიური შეზღუდვების და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების შედეგების სიმულაციური ანალიზი 2019 წლისთვის 44

6.2. მოსალოდნელი შედეგები 2020-2021 წლებში 48

7. საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების სიმულაციური ანალიზი 51

ძირითადი მიგნებები 56

დასკვნა 60

წყაროები 61

შესავალი

COVID-19-ის პანდემიამ მსოფლიო ეკონომიკა მანამდე არნახული გამოწვევების წინაშე დააყენა. შემთხვევითი არ არის, რომ პანდემიით პროვოცირებულ კრიზისს ბოლო ასი წლის ყველაზე მასშტაბურ ეკონომიკურ კრიზისებს ადარებენ - 1929-1933 წლების „დიდი დეპრესიას“ და 2008-2009 წლების „დიდი რეცესიას“. „დიდმა ლოკდაუნმა“ (Gopinath, 2020), საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, სინქრონულად შეასუსტა ეკონომიკური აქტივობა მთელ მსოფლიოში, მკვეთრად შეამცირა შინამეურნეობათა მოხმარება, განსაკუთრებით დააზიანა მომსახურების სექტორი, დიდი დარტყმა მიაყენა შრომის ბაზარს და საერთაშორისო ვაჭრობას (IMF, 2020). შედეგად, მასობრივად დაიკარგა სამუშაო ადგილები და დაიშრიტა შინამეურნეობების რეგულარული შემოსავლის წყაროები, რამაც სიღარიბის დონის მკვეთრი ზრდის რეალური საფრთხე წარმოქმნა.

ცხადია, საქართველო ვერ დარჩებოდა აღნიშნული მოვლენების მიღმა, მით უმეტეს, რომ პანდემიური კრიზისით განსაკუთრებით დაზიანებული მომსახურების სექტორი, მათ შორის, ტურისტული ინდუსტრია, ქვეყნის ეკონომიკის 74 პროცენტს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის მიერ დაწესებული ანტიპანდემიური შეზღუდვების ფონზე დაავადების გავრცელების მასშტაბი თავდაპირველად საკმაოდ მცირე იყო, ქვეყნის ეკონომიკას მაინც დიდი ზიანი მიადგა.

COVID-19-ისშემდგომიგავრცელებისპრევენციისმიზნითშემოღებულიშეზღუდვების, მათ შორის, იძულებითი შინაიზოლაციის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური შედეგების თუნდაც ნაწილობრივ განეიტრალების მიზნით, მთავრობებმა, მათ შორის, საქართველოს მთავრობამ, დაიწყეს გადაუდებელ ანტიკრიზისულ ღონისძიებათა განხორციელება, რომელთა ეფექტიანობის შეფასება, პანდემიის მასშტაბების თითქმის განუწყვეტელი ზრდის პირობებში, ერთობ რთული აღმოჩნდა.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს შეაფასოს:

- სახელმწიფოს მიერ დაწესებული ანტიპანდემიური შეზღუდვების უშუალო გავლენა დასაქმებასა და უმუშევრობაზე;
- მთავრობის გადაუდებელ ანტიკრიზისულ ღონისძიებათა როლი დასაქმებასა და უმუშევრობაზე ანტიპანდემიური შეზღუდვების, მათ შორის, ლოკდაუნის უარყოფითი გავლენის შემსუბუქებაში;
- დასაქმებისა და უმუშევრობის პროგნოზი 2020-2021 წლებისთვის, პანდემიის პირველი ტალღის შედეგების გათვალისწინებით;
- ანტიპანდემიური შეზღუდვების უშუალო გავლენა შინამეურნეობათა შემოსავლების დინამიკასა და სტრუქტურაზე;
- მთავრობის გადაუდებელ ანტიკრიზისულ ღონისძიებათა როლი შინამეურნეობათა შემოსავლებზე ანტიპანდემიური შეზღუდვების უარყოფითი გავლენის განეიტრალებაში;
- შინამეურნეობათა შემოსავლების პროგნოზი 2020-2021 წლებისათვის, პანდემიის პირველი ტალღის შედეგების გათვალისწინებით;
- ანტიპანდემიური შეზღუდვების უშუალო გავლენა საარსებო მინიმუმის მიმართ სიღარიბის დონეზე (უკიდურეს სიღარიბეზე);
- მთავრობის გადაუდებელ, ანტიკრიზისულ ღონისძიებათა როლი ანტიპანდემიური შეზღუდვების შედეგად უკიდურესი სიღარიბის ზრდის პრევენციაში;
- უკიდურესი სიღარიბის დონის პროგნოზი 2020-2021 წლებისათვის, პანდემიის პირველი ტალღის შედეგების გათვალისწინებით;
- მთავრობის გადაუდებელ, ანტიკრიზისულ ღონისძიებათა ეფექტიანობა.

წინამდებარე კვლევის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს სიმულაციური ანალიზის მეთოდის გამოყენება. რამდენადაც კვლევის დაწყების მომენტისათვის ჩვენ ხელთ გვქონდა პანდემიური კრიზისის პირველი ტალღის შედეგების ამსახველი მხოლოდ 2020 წლის მე-2 კვარტალის აგრეგირებული შეფასებები, მთლიანად 2020 და მომდევნო 2021 წლებში დასაქმებაზე, შინამეურნეობათა შემოსავლებსა და უკიდურესი სიღარიბის დონეზე ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების შესაძლო გავლენის შეფასების მიზნით ჯერ მოვახდინეთ პანდემიის სიმულაცია 2019 წელს და გამოკვეთილი რეზულტატების საფუძველზე, წინა წლების შესაბამისი ტენდენციების გათვალისწინებით, ვცადეთ 2020 და 2021 წლების შეფასებების გამოთვლა.

კვლევა განახორციელა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდმა (რონდელის ფონდი) ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით. რონდელის ფონდმა და ფრიდრიხ ებერტის ფონდმა ბოლო წლებში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკვანძო საკითხების შესახებ რამდენიმე კვლევა გამოაქვეყნეს, კერძოდ: უმუშევრობის სტრუქტურა და სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში (2016), ქრონიკული სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში (2017) და საშუალო კლასი საქართველოში: რაოდენობრივი შეფასება, დინამიკა და პროფილი (2018).

წინამდებარე კვლევა, ისევე, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი კვლევები, განახორციელეს რონდელის ფონდის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორმა მერაბ კაკულიამ და წამყვანმა მკვლევარმა ნოდარ კაპანაძემ. პირველადი მონაცემების დამუშავებაში მათ ტექნიკური დახმარება გაუწია სტატისტიკოსმა ლალი ქურხულმა.

კვლევას არ აქვს საქართველოში COVID-19 პანდემიით პროვოცირებული კრიზისის სოციალურ-ეკონომიკური შედეგების სრულყოფილი ანალიზის პრეტენზია, მით უმეტეს, რომ პანდემია გრძელდება და შეუძლებელია მისი დასრულების პროგნოზირება. კვლევა წარმოადგენს პანდემიის პირველ ტალღასთან გამკლავების მიზნით სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვებისა და მთავრობის მიერ გატარებული გადაუდებელი ანტიკრიზისული ღონისძიებების შედეგების რაოდენობრივი და თვისებრივი შეფასების ცდას, რომელიც ვერ იქნება დაზღვეული ნაკლოვანებებისაგან. ავტორები ყურადღებით გაეცნობიან მკითხველთა შენიშვნებსა და წინადადებებს და შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებენ მათ შემდგომ კვლევით საქმიანობაში.

1. პანდემიური ეკონომიკური კრიზისის თავისებურებანი

პანდემიური ეკონომიკური კრიზისი არ წარმოადგენს არც ციკლურ და არც სტრუქტურულ მოვლენას. ეს არის სრულიად ახალი ფენომენი, რომელიც ასახავს სიცოცხლისათვის უაღრესადსაშიშიდაავადების-COVID-19-ის „ტყვეობაში“ მოქცეული ეკონომიკის რეაქციას (Papava, 2020). ამ დაავადების სწრაფი გავრცელების პრევენციის მიზნით სახელმწიფოები იძულებული არიან დააწესონ მკაცრი ანტიპანდემიური შეზღუდვები, მათ შორის, ლოკდაუნის (მოქალაქეთა შინაიზოლაციის) რეჟიმი, რაც ეკონომიკის დარგების დიდი ნაწილის პარალიზებას იწვევს. ასეთ ვითარებაში ერთმანეთს ეხლართება მოთხოვნისა და მიწოდების უძლიერესი შოკები, რაც, ერთი მხრივ, უმუშევრობის ზრდასა და შინამეურნეობათა შემოსავლების კლებაში ვლინდება, ხოლო, მეორე მხრივ, მიწოდების ლოკალური და გლობალური ჯაჭვების წყვეტაში. შედეგად, პანდემიით პროვოცირებული ეკონომიკური კრიზისის უარყოფითი კუმულატური ეფექტი ძალიან მაღალია.

მართალია პანდემია ჯერ კიდევ გრძელდება, მაგრამ უკვე შეიძლება საუბარი იმაზე, თუ რამდენად მოწყვლადია საქართველოს ეკონომიკა COVID 19-ით პროვოცირებული ეკონომიკური კრიზისის მიმართ. ამის ნათელი დადასტურებაა მშპ-ის მკვეთრი კლება უშუალოდ ანტიპანდემიური შეზღუდვების, მათ შორის, ლოკდაუნის შემოღების შედეგად: საქართველოს ეკონომიკა 2020 წლის მეორე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 12.3 პროცენტით შემცირდა. მესამე კვარტალში, საქსტატის წინასწარი მონაცემებით, მშპ-ის კლების ტემპი -5 პროცენტამდე დაეცა (საქსტატი, 2020), რაშიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მთავრობის მიერ გატარებულმა გადაუდებელმა ანტიკრიზისულმა ღონისძიებებმა. მიუხედავად ამისა, მეოთხე კვარტალის დასაწყისიდან აღინიშნა COVID-19-ით დაავადებულთა რაოდენობის მკვეთრი მატება, რაც პანდემიის ახალი - მეორე ტალღის დაწყებას მოასწავებს, რომლის სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შეფასება დღევანდელი გადასახედიდან ერთობ რთულია.

დიაგრამა #1: მშპ-ის რეალური წლიური ზრდის ტემპები: კვარტალური დინამიკა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პანდემიურმა კრიზისმა ყველაზე მეტად ტურისტული ინდუსტრია დააზარალა, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან: ყველაზე დიდი ვარდნა აღინიშნა ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების სფეროში, რომელსაც განეკუთვნება

ტურისტული სააგენტოებისა და ტუროპერატორების საქმიანობა (54.7 პროცენტი) და სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში (40 პროცენტი). მათმა წვლილმა ქვეყნის ეკონომიკის წლიურ კლებაში, 2020 წლის მეორე კვარტალში, ჯამურად, 2 პროცენტულ პუნქტს გადააჭარბა. ასევე დიდი ვარდნა ჰქონდა სამშენებლო ინდუსტრიას (-24.5 პროცენტი) და ტრანსპორტისა და დასაწყობების სექტორს (-22.6 პროცენტი), რომელთა ჯამურმა წვლილმა მშპ-ის რეალურ წლიურ კლებაში თითქმის 3.1 პროცენტული პუნქტი შეადგინა. შედარებით მცირე იყო ვაჭრობის სექტორის წლიური კლების ტემპი (- 13.2 პროცენტი), თუმცა მისმა წვლილმა ეკონომიკის საერთო შემცირებაში თითქმის 1.6 პროცენტული პუნქტი შეადგინა. მთლიანად მომსახურების სფეროს სექტორების წვლილი მშპ-ის 12.3-პროცენტიან ვარდნაში 8.11 პროცენტული პუნქტი იყო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული სფერო პანდემიის მიმართ ყველაზე მეტად მოწყვლადი აღმოჩნდა.

ცხრილი #1: ცალკეული სექტორების რეალური წლიური ზრდის ტემპები 2020 წლის მე-2 კვარტალში

ეკონომიკური საქმიანობის სახეები	ცვლილება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (მლნ. ლარი)	ცვლილება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (პროცენტი)	წვლილი მშპ-ის ცვლილებაში (პროცენტულ პუნქტებში)
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	34	4.7	0.34
სამთო-მოპოვებითი მრეწველობა	6	6.4	0.06
დამამუშავებელი მრეწველობა	-104	-12.1	-1.02
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის მიწოდება	-7	-3.8	-0.07
წყალმომარაგება კანალიზაცია, ნარჩენების მართვა	-10	-13.9	-0.09
მშენებლობა	-177	-24.5	-1.74
ვაჭრობა; ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი	-157	-13.2	-1.55
ტრანსპორტი და დასაწყობება	-136	-22.6	-1.34
სასტუმროები და რესტორნები	-153	-40.0	-1.50
ინფორმაცია და კომუნიკაცია	-39	-14.7	-0.38
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	-96	-15.5	-0.94
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	-11	-1.0	-0.11
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	-67	-28.8	-0.66
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	-62	-54.7	-0.61
სახელმწიფო მმართველობა	-11	-1.7	-0.11
განათლება	50	11.7	0.49
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	55	14.3	0.54
ხელოვნება, გართობა და დასვენება	-66	-24.1	-0.65
სხვა სახის მომსახურება	-26	-32.8	-0.26
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	-1	-6.4	-0.01
მშპ საბაზისო ფასებში	-1008	-11.2	-9.92
(+) გადასახადები პროდუქციაზე	-227	-19.3	-2.23
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	4	8.0	0.04
მშპ საბაზრო ფასებში	-1251	-12.3	-12.30

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

COVID-19-ით პროვოცირებულმა კრიზისმა ეკონომიკის დასახელებულ და სხვა სექტორებში სამუშაო ადგილების მასობრივი დაკარგვა - სტატისტიკურად დროებით

უმუშევრობა - გამოიწვია. მართალია, უმუშევრობის ოფიციალურ მაჩვენებელს 2020 წლის მეორე კვარტალში ეს არ დასტყობია (წინა წლის ბოლოს დონეს იგი მხოლოდ 0.7 პროცენტული პუნქტით აღემატებოდა), მაგრამ სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზების ანალიზმა წინამდებარე კვლევაში აჩვენა, რომ უმუშევრობის დონე პანდემიური კრიზისის შედეგად, შესაძლოა, მკვეთრად გაიზარდოს (იხ. თავი 4).

პანდემიურმა კრიზისმა დიდი დარტყმა მიაყენა საერთაშორისო ვაჭრობას: მსოფლიო სავაჭრო ბრუნვა 2020 წლის პირველ ნახევარში საშუალოდ 21.3 პროცენტით შემცირდა (UN Comtrade, 2020),[1] რაც იმას ნიშნავს, რომ არსებითად იკლო გლობალურმა მოთხოვნამ, მათ შორის, ქართულ პროდუქციაზე. შედეგად, იანვარ-აპრილში ქართული ექსპორტის მოცულობა წლიურ გამოსახულებაში 12 პროცენტით შემცირდა. 10 წამყვანი საექსპორტო-სასაქონლო ჯგუფიდან რვაში ექსპორტის მნიშვნელოვანი კლება გამოვლინდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ფეროშენადნობები, აზოტოვანი სასუქები, ყურძნის ნატურალური ღვინოები, სამკურნალო საშუალებები, აგრეთვე ავტომობილების რეექსპორტი (საქსტატი, 2020). რაც შეეხება იმპორტს, წლის პირველ ნახევარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მისი მოცულობა 18 პროცენტით შემცირდა, რაც შინამეურნეობათა მოხმარების კლებაზე მიუთითებს. ანტიპანდემიური შეზღუდვების ძირითადად მოხსნის და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების შედეგად, მესამე კვარტალში ვითარება საგარეო ვაჭრობაში გამოსწორდა, თუმცა პანდემიის ახალი ტალღის პირობებში პერსპექტივა ისევ ბუნდოვანია.

დიაგრამა #2: იმპორტისა და ექსპორტის დინამიკა კვარტალურ ჭრილში (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

COVID-19-ით პროვოცირებულმა კრიზისმა და მასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ არსებითად შეასუსტა უცხოელ ინვესტორთა რისკის აპეტიტი, განსაკუთრებით, განვითარებადი ქვეყნების მიმართ, რაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საკმაოდ მკვეთრ კლებაში გამოვლინდა. 2020 წლის პირველ ნახევარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, უცხოური კაპიტალის შემოდინება საქართველოს ეკონომიკაში, საქსტატის მონაცემებით, 25.6 პროცენტით შემცირდა, რაც ძირითადად პირველი კვარტალის ხარჯზე მოხდა. მეორე კვარტალში მცირედი

[1] 70 ქვეყნის მონაცემთა მიხედვით.

წლიური მატება აღინიშნა (1 მილიონი აშშ დოლარით), თუმცა პანდემიის ახალი ტალღა დიდ საფრთხეს უქმნის ახლო მომავალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების გაძლიერებას. ასეთ ვითარებაშიც კი საქართველოს აქვს შანსი მიიღოს რეალური სარგებელი ინდუსტრიის გლობალური რედისლოკაციის მიმდინარე პროცესისგან, მით უმეტეს, რომ მას აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები ევროკავშირთან, ჩინეთთან და ბევრ სხვა ქვეყანასთან. მზადდება ანალოგიური ხელშეკრულება აშშ-სთანაც (კაკულია, 2020).

დიაგრამა #3: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სულ (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია დამოკიდებულება უცხოეთიდან შრომითი მიგრანტების ფულად გზავნილებზე, რომელთა მოცულობა ქვეყნის მშპ-ის 10 პროცენტს აღწევს (2019). წარსულში ფულადი გზავნილები მიმღებ ქვეყნებში ანტიკრიზისულ როლს ასრულებდა, რადგან კრიზისის დროს მიგრანტები სამშობლოში, როგორც წესი, მეტ ფულს რიცხავდნენ. ამჯერად, როდესაც პანდემიამ თითქმის ყველა ქვეყანა მოიცვა, ფულად გზავნილებზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი კრიზისის დამძიმების რისკფაქტორად იქცა. პანდემიის პირველი ტალღის შედეგად, 2020 წლის აპრილში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ფულადი გზავნილების ნაკადი 42,3 პროცენტით შემცირდა (იხ.დიაგრამა 4), მათ შორის, რუსეთიდან - 2,6-ჯერ, აშშ-დან - 33 პროცენტით, იტალიიდან - 27 პროცენტით, საბერძნეთიდან - 37 პროცენტით. მომდევო თვეებში ფულადი გზავნილების ნაკადი აღდგა და მესამე კვარტალში კრიზისამდელ დონესაც კი ბევრად გადააჭარბა, მაგრამ პანდემიის ახალი მძლავრი ტალღა ევროპასა და აშშ-ში ეჭვქვეშ აყენებს ამ ტენდენციის მდგრადობას.

პანდემიურმა კრიზისმა გლობალურ სავალუტო ბაზარზე დიდი რყევები გამოიწვია, თუმცა ლარის კურსის მერყეობის დიაპაზონი ერთ-ერთი ყველაზე ფართო აღმოჩნდა მსოფლიოში: მხოლოდ 10 დღის განმავლობაში (17-26 მარტი) ლარი 25 პროცენტით გაუფასურდა, როდესაც ჩვენი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტებს ასეთი დევალვაცია ასეთ მოკლე ვადაში არ განუცდიათ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დროისათვის პანდემიის არც ერთი ზემოჩამოთვლილი შედეგი, ტურისტული შემოსავლების კლების გარდა, არ იყო დამდგარი, შეიძლება ითქვას, რომ სავალუტო აჟიოტაჟი საქართველოში ძირითადად შექმნილი ვითარების არაადეკვატური აღქმით და მასობრივი ფსიქოზით იყო გამოწვეული.

შემდგომში ვითარება შიდასავალუტო ბაზარზე დასტაბილურდა, რაც მნიშვნელოვანწილად ეროვნული ბანკის საინტერვენციო აქტივობის ზრდამ განაპირობა. ეროვნულ ბანკს მეტი სითამამე და კრეატიულობა მართებს უარყოფითი მოლოდინის გასანეიტრალებლად. სავალუტო რეზერვების გამოყენება საგანგებო ვითარებაში სტანდარტული სქემებით არ უნდა მოხდეს, მით უმეტეს, რომ ქვეყანამ დიდი საერთაშორისო ფინანსური დახმარება მიიღო, რაც მეტი ინტერვენციების საშუალებას იძლევა.

დიაგრამა #4: ფულადი გზავნილები საზღვარგარეთიდან (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პანდემიური ეკონომიკური კრიზისისთვის, როგორც უკვე ითქვა, დამახასიათებელია მოთხოვნის და მიწოდების შოკების გადახლართვა. თუ მოთხოვნის ვარდნა სამომხმარებლო ფასების კლების მიმართულებით მოქმედებს, მიწოდების შოკი მათ ზრდისკენ უბიძგებს. ამდენად, ინფლაციაზე COVID-19-ის პანდემიის გავლენა არაერთგვაროვანია და იმაზეა დამოკიდებული მოთხოვნის შოკის ეფექტი გადაწონის თუ მიწოდების: თუ 2020 წლის მარტში, წინა თვესთან შედარებით, წლიური ინფლაციის ტემპმა იკლო, აპრილში იგი არსებითად გაიზარდა და თითქმის 7 პროცენტს გაუტოლდა (ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელზე 4 პროცენტით მეტი). ფასების მატებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ლარის გაცვლითი კურსის მკვეთრმა ვარდნამ მარტის ბოლოს, რაც უფრო აპრილის ფასებზე აისახა.

მართალია, პანდემიის პირველი ტალღის პირობებში (2020 წლის აპრილი) მოთხოვნა შემცირდა, მაგრამ მოხდა მისი ფოკუსირება პირველადი მოხმარების საქონელზე, ძირითადად, სურსათსა და საყოფაცხოვრებო ნივთებზე. სურსათზე ფასები 16 პროცენტით გაიზარდა, საყოფაცხოვრებო ნივთებზე კი - თითქმის 10 პროცენტით. სურსათის წვლილმა სამომხმარებლო ფასების საერთო დონის ზრდაში 5 პროცენტული პუნქტი შეადგინა, როდესაც დანარჩენი 11 სასაქონლო ჯგუფიდან 0,6 პროცენტულ პუნქტზე მეტი წვლილი არც ერთს არ ჰქონია. ფასებიც ამ ჯგუფებში, გარდა საყოფაცხოვრებო ნივთებისა, მცირედ გაიზარდა ან შემცირდა (4 ჯგუფში დეფლაცია აღინიშნა).

დიაგრამა #5: წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 2017-2020 წლებში (ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მიუხედავად ამისა, ინფლაციის დონეზე 2020 წლის მეორე კვარტალში მიწოდების შოკის გავლენა უფრო მკაფიოდ გამოჩნდა, მათ შორის, სურსათის მიწოდების სფეროში. ნიშანდობლივია, რომ აპრილში განსაკუთრებით გაძვირდა ხილი და ყურძენი (45,4 პროცენტით), რძე, ყველი და კვერცხი (23,2 პროცენტით), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (16,9 პროცენტით). აღსანიშნავია ისიც, რომ 1 800 ობიექტიდან, რომელთაც საქსტატის ფასების რეგისტრაცია მოიცავს, 1 150 საგანგებო მდგომარეობის გამო არ ფუნქციონირებდა (საქსტატი, 2020).

2. საქართველოს მთავრობის ანტიპანდემიური და ანტიკრიზისული ღონისძიებები

კორონავირუსის გავრცელების საფრთხეზე რეაგირება საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 28 იანვრიდან დაიწყო, როდესაც შექმნა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო.

იანვარ-თებერვალში მნიშვნელოვანი ეპიდემიოლოგიური შეზღუდვები არ დაწესებულა, თუ არ ჩავთვლით ავიამიმოსვლის შეჩერებას ჩინეთთან, მოგვიანებით კი - ირანთან, სადაც უკვე დიდი იყო დაავადების გავრცელების მასშტაბი. 26 თებერვალს საქართველოში კორონავირუსით დაავადების პირველი შემთხვევა დადასტურდა.

მასობრივი ანტიპანდემიური[2] შეზღუდვები მარტში დაიწყო, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეჩერდა და დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა სასწავლო პროცესი; დაიხურა სამთო-სათხილამურო კურორტები, კაფე-რესტორნები და საცალო ვაჭრობის ობიექტები; უცხოეთიდან შემოსული მგზავრები, როგორც რეზიდენტები, ისე არარეზიდენტები, დაექვემდებარნენ იზოლაციას. მოგვიანებით მთლიანად შეწყდა საერთაშორისო მგზავრო მიმოსვლა. 21 მარტს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, ორი დღის შემდეგ კი ორი მუნიციპალიტეტი (მარნეულის და ბოლნისის) კარანტინის რეჟიმმა მოიცვა. თვის ბოლოს დაწესდა კომენდანტის საათი, შეჩერდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა და ყველა ტიპის ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც დისტანციურ რეჟიმზე ვერ გადავიდოდა, გარდა სასურსათო მაღაზიების, აფთიაქების და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ზოგიერთი სხვა ობიექტისა. მკვეთრად შეიზღუდა საზოგადოებრივი თავშეყრა.

2020 წლის აპრილი საქართველომ მნიშვნელოვანი ანტიპანდემიური შეზღუდვების პირობებში გაატარა. კარანტინის რეჟიმს კიდევ რამდენიმე მუნიციპალიტეტი და ცალკეული დასახლებული პუნქტი დაექვემდებარა. გარდა ამისა, შეჩერდა აგრარული ბაზრების საქმიანობა. ამასთან, უკვე აპრილის ბოლოს დაიწყო შეზღუდვების შემსუბუქება: დაშვებულ იქნა ბლოკირებული ქალაქებიდან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის მოქალაქეთა გადაადგილება, განახლდა ავტოტრანსპორტის, მათ შორის, ტაქსების გადაადგილება, აგრეთვე ონლაინვაჭრობა და მიტანის სერვისები. ამოქმედდა ღია ტიპის აგრარული ბაზრებიც.

შეზღუდვების ნაწილი მაისშიც შენარჩუნდა, თუმცა მათმა გაუქმება/შემსუბუქებამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. მოიხსნა შესვლა-გამოსვლის შეზღუდვები ქვეყნის დედაქალაქსა და სიდიდით მეორე და მესამე ქალაქებში - ბათუმსა და ქუთაისში. განახლდა მშენებლობა და ყველა სახის წარმოება და მოპოვება, საკრედიტო საქმიანობა, საცალო და საბითუმო ვაჭრობა (მოლების გარდა). აღდგა ავტოსამრეცხაოებისა და ავტოსერვისების, სილამაზის სალონებისა და ესთეტიკური მედიცინის ცენტრების საქმიანობა. რამდენიმე მუნიციპალიტეტსა და დასახლებულ პუნქტში მოიხსნა კარანტინის რეჟიმი. 23 მაისს გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი. ანტიპანდემიურ მოთხოვნათა დაცვით აღდგა ყველა ტიპის ეკონომიკური საქმიანობა (გარდა რამდენიმე გამონაკლისისა) და მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება. შემსუბუქდა შეზღუდვები საზოგადოებრივ თავშეყრაზე.

ივნისში შეზღუდვების ძირითადი ნაწილი მოიხსნა. ანტიპანდემიურ მოთხოვნათა დაცვის პირობით განახლდა მოლების, სასტუმროებისა და რესტორნების, აგრეთვე, საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მომსახურება. დარჩა გარკვეული შეზღუდვები

[2] ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (ჯანმო) COVID-19-ის მსოფლიოში გავრცელების მასშტაბი 2020 წლის 11 მარტს პანდემიად შეაფასა.

საზოგადოებრივ თავშეყრაზე, ასევე სპეციალური სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მოთხოვნა.

ივლისში ანტიპანდემიური შეზღუდვების მოხსნა ძირითადად დასრულდა. საქართველომ აღადგინა საჰაერო მიმოსვლა გერმანიასთან, საფრანგეთთან და ბალტიის ქვეყნებთან. დაუშვეს ტრენინგებისა და კონფერენციების ჩატარება დახურულ სივრცეში (არაუმეტეს 200 ადამიანისა), აგრეთვე სადღესასწაულო და რიტუალური ღონისძიებების ჩატარება ღია სივრცეში (არაუმეტეს 100 ადამიანისა). სპეციალური მოთხოვნების გათვალისწინებით აღდგა საცურაო აუზებისა და სპორტდარბაზების საქმიანობა. ასევე გაიხსნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები. გაგრძელდა ქვეყნის მუნიციპალიტეტებსა და ცალკეულ დასახლებულ პუნქტებში კარანტინის რეჟიმის მოხსნა, თუმცა, იმავდროულად ეს რეჟიმი სხვა დასახლებულ პუნქტებში ამოქმედდა.

ანტიპანდემიურმა შეზღუდვებმა, ბუნებრივია, უარყოფითად იმოქმედა ეკონიმიკის რიგ სექტორებზე, სადაც ეკონომიკური აქტივობა გაჩერდა. ამ სექტორებში დასაქმებული ადამიანების დიდმა ნაწილმა ფაქტობრივად დაკარგა სამუშაო ადგილი და აქედან გამომდინარე, შემოსავალიც. საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა ეს გარემოება და შეზღუდვების დაწესების პარალელურად შეიმუშავა კოვიდ-19-ის პანდემიით პროვოცირებული ეკონომიკური კრიზისის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების პაკეტი, რომლის პირველი ნაწილი საზოგადოებას უკვე 13 მარტს წარუდგინა. აღნიშნული პაკეტი ღონისძიებების ორი ჯგუფისგან შედგება:

1. საკუთრივ ანტიკრიზისული ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს ანტიპ ანდემიური შეზღუდვების დაწესების შედეგად მოქალაქეებისა და ბიზნესისათვის მიყენებული დარტყმის შერბილებას: სხვადასხვა სახის ფინანსური ვალდებულებების გადავადება, სუბსიდიები, დახმარებები, შეღავათები და სხვა;
2. კრიზისიდან გამოსვლის ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს პანდემიით პროვოცირებული ეკონომიკური კრიზისის შედეგების დაძლევას და პანდემიამდელი ეკონომიკური დინამიკის აღდგენას:[3] შეღავათიანი დაკრედიტება, საგრანტო პროგრამები, საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირება და სხვა. აღსანიშნავია, რომ ეს ღონისძიებები სექტორულ ჭრილშიც იქნა წარმოდგენილი სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და დეველოპერული საქმიანობის აღდგენისა და განვითარების კონკრეტული გეგმების სახით.

წინამდებარე კვლევის მიზანია ანტიპანდემიური შეზღუდვების გავლენის შეფასება საქართველოს შინამეურნეობებზე, კერძოდ, მათი წევრების დასაქმებაზე, შემოსავლებსა და სიღარიბეზე. სწორედ ამ კონტექსტში განვიხილეთ მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებები, რომელთა ეფექტიანობა არაერთგვაროვანია და დამოკიდებულია იმაზე, თუ:

- პირდაპირ იღებს გატარებული ღონისძიების შედეგს შინამეურნეობა თუ ირიბად? მაგალითად, კომუნალური გადასახადების სახელმწიფოს მიერ ანაზღაურების ბენეფიციარი ყველა შენამეურნეობაა, ბიზნესსუბიექტებისათვის 4 თვის ქონების და საშემოსავლო გადასახადის გადავადების ღონისძიებიდან (მოიცავს 6000-ზე მეტ სუბიექტს) უშუალოდ შინამეურნეობების მიერ მიღებული სარგებელი კი სტატისტიკურად არ ჩანს. კიდევ ერთი მაგალითი: გაზრდილი საგრანტო პროგრამა მცირე მეწარმეთათვის განხორციელების პროცესშია და წინასწარ შეუძლებელია

[3] კვლევის პროცესში ჩვენ აპრიორულად ვუშვებდით, რომ პანდემია 2020 წელს დასრულდებოდა და გლობალური ეკონომიკა თავს დააღწევდა მის ტყვეობას. ეს შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო როგორც ეფექტიანი ვაქცინის შექმნასთან, ისე კოლექტიური იმუნიტეტის გამომუშავებასთან, რაც შეაჩერებდა COVID-19-ის გავრცელებას.

იმის განსაზღვრა, თუ რომელი და რა ტიპის შინამეურნეობა მიიღებს მისგან სარგებელს; ანუ აღნიშნული საგრანტო პროგრამის მისამართულობის ხარისხი შინამეურნეობათა დონეზე დაბალია იმისათვის, რომ წინამდებარე კვლევის ფარგლებში წინასწარ განვსაზღვროთ მისი ეფექტი;

- რამდენად მყისიერია ღონისძიების გავლენა შინამეურნეობაზე? მაგალითად, დასაქმებულ პირებზე, რომელთაც დროებით დაკარგეს სამუშაო, 6 თვის განმავლობაში 1200 ლარის საერთო ოდენობის დახმარების გაცემის გავლენა მყისიერია: ყველა შინამეურნეობა, რომლის წევრიც კრიზისისგან დაზარალებულ სექტორში დაქირავებით იყო დასაქმებული, შემწეობის სახით თვეში 200 ლარს მიიღებს. ეს შემოსავალი პირდაპირ აისახება მის კეთილდღეობაზე. მაგრამ ისეთი ღონისძიება, როგორიცაა ფინანსურ ვალდებულებათა გადავადების შესაძლებლობის მიცემა იურიდიული პირებისთვის, რომელთაც შეექმნათ საბანკო კრედიტის მომსახურების პრობლემა, პირდაპირ არ აისახება შინამეურნეობების დასაქმებასა და შემოსავლებზე. უფრო მეტიც, უცნობია თუ რა ტიპის შინამეურნეობები იქნებიან ამ ღონისძიების ბენეფიციარები და საერთოდ, მიიღებენ თუ არა აქედან რაიმე სარგებელს შინამეურნეობები.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გატარებული ღონისძიებებიდან გამოიყო ისეთი, რომელთა გავლენაც შინამეურნეობების დასაქმებასა და შემოსავლებზე მყისიერია, ხოლო მისამართულობის ხარისხი - მაღალი. ამგვარი ღონისძიებების ეფექტის შეფასება შინამეურნეობის დონეზე სავსებით რეალურია, რაც გათვალისწინებულია სიმულაციური ანალიზის დროს. ესენია:

- მოქალაქეთა კომუნალური ხარჯების დაფარვა, რაც უკლებლივ ყველა ოჯახზე ვრცელდება. სახელმწიფომ იკისრა მათ მიერ 200 კილოვატამდე მოხმარებული ელექტროენერგიისა და 200 კუბურ მეტრამდე მოხმარებული ბუნებრივი აირის დანახარჯის ანაზღაურება 3 თვით. დაფინანსება მოიცავს აგრეთვე დასუფთავებისა და წყლის გადასახადსაც. ელექტროენერგიის გადასახადის ბენეფიციართა რაოდენობამ 1.2 მლნ აბონენტი შეადგინა, ხოლო ბუნებრივი აირის - 670 ათასზე მეტი. მოგვიანებით ეს ღონისძიება კიდევ სამი თვით გაგრძელდა;
- სახელმწიფოს ეგიდით მოქალაქეების სასესხო ვალდებულებების გადავადება 3 თვით, რაც მოგვიანებით კიდევ სამი თვით გაგრძელდა[4]. ეს ღონისძიება მიმართულია იმ შინამეურნეობებზე, რომლებსაც ვალდებულებები აქვთ საბანკო დაწესებულებათა მიმართ. ამ ღონისძიებამ 600 ათასი მსესხებელი მოიცვა;
- დაქირავებით დასაქმებული პირების, რომელთაც დროებით დაკარგეს სამუშაო ადგილი, დახმარება 6 თვის განმავლობაში, თვეში 200 ლარის ოდენობით: ამ ღონისძიების ბენეფიციარები არიან დაქირავებით დასაქმებულები, რომლებიც ანტიპანდემიური შეზღუდვების გამო ფაქტობრივად არ მუშაობენ, თუმცა ფორმალურად შესაძლოა კვლავაც ითვლებოდნენ დასაქმებულად. ამ სახის დახმარების მიღება 350 ათას მოქალაქეს შეეძლება;
- სხვადასხვა კატეგორიის თვითდასაქმებულების ერთჯერადი დახმარება 300 ლარის ოდენობით: ეს ღონისძიება მიმართულია იმ თვითდასაქმებულებზე, რომლებმაც ანტიპანდემიური შეზღუდვების გამო ვეღარ შეძლეს საქმიანობის გაგრძელება და შეუძლიათ იმის დასაბუთება, რომ პანდემიამდე ჰქონდათ რეგულარული შემოსავალი;
- საგადასახადო შეღავათი სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით: 6 თვის განმავლობაში 750 ლარის ოდენობის ხელფასი სრულად გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან, ხოლო 1500 ლარამდე ხელფასი - 750 ლარის

[4] მართალია, კრედიტის მომსახურება სამომხმარებლო ხარჯებს არ განეკუთვნება, მაგრამ შემცირებული შემოსავლების პირობებში შინამეურნეობები სესხის დაფარვისათვის იძულებული იქნებოდნენ სამომხმარებლო ხარჯები შეემცირებინათ.

ოდენობაზე გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან;
- 65 000-დან 100 000 ქულის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების დახმარება - თითო ოჯახზე საშუალოდ 600 ლარის ოდენობით, 6 თვეში: ეს ღონისძიება ვრცელდება 70 ათას შინამეურნეობაზე;
- 0-დან 100 000 ქულის ფარგლებში სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების დახმარება, რომელთაც ჰყავთ 3 და მეტი 16 წლამდე ასაკის შვილი - თითო ოჯახზე საშუალოდ ჯამური 600 ლარის ოდენობით, 6 თვეში. პროგრამის ბენეფიციარი შინამეურნეობათა რაოდენობა 22 ათასს აღწევს;
- მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ასევე შშმ ბავშვების დახმარება ჯამური 600 ლარის ოდენობით, 6 თვეში. ბენეფიციართა რაოდენობა 40 ათასამდე ფიზიკური პირია;
- 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერებისთვის 1 ივლისიდან პენსიის დამატებით 30 ლარით გაზრდა, რითაც ისარგებლებს დაახლოებით 410 ათასზე მეტი პენსიონერი;
- 17 წლის ასაკამდე ბავშვების ერთჯერადი დახმარება 200 ლარის ოდენობით (განურჩევლად მათი სოციალური სტატუსისა);
- ფერმერებისთვის 1 ჰექტარზე 150 ლიტრი დიზელის საწვავის ფასის სუბსიდირება - 1 ლიტრზე 1 ლარამდე შეღავათი: ამ ღონისძიებით, სავარაუდოდ, 200 ათასი ფერმერი ისარგებლებს, რაც შეამცირებს მათ სამეურნეო ხარჯებს;
- სასოფლო-სამეურნეო საქონლისა და ხვნის მომსახურების ღირებულების სუბსიდირება - 1 ჰექტარ მიწაზე 200 ლარი (აგრობარათზე დარიცხული 200 ლარით), მაქსიმუმ 2000 ლარის საერთო ოდენობით არაუმეტეს 10 ჰექტარზე: ამ პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა 200 ათასი ფერმერია;
- სამელიორაციო მომსახურების საფასურის სუბსიდირება - 1 ჰექტარზე 75 ლარამდე საფასურის სახელმწიფოს მიერ ანაზღაურება: ამ ღონისძიების ეფექტის შეფასებაც შესაძლებელია შინამეურნეობის დონეზე. 2019 წელს გამოკითხული შინამეურნეობების ხარჯებიდან ცალკე იქნება გამოყოფილი სამელიორაციო ხარჯები, რომლებიც შეღავათებში აისახება.

დასახელებული ღონისძიებები თითქმის სრულად მოიცავს მთავრობის ანტიკრიზისული პაკეტის იმ ბლოკს, რომელსაც პირობითად ეწოდება „ზრუნვა მოქალაქეებზე“. გარდა ამისა, ჩამონათვალში შევიდა აგრეთვე სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის ის ღონისძიებები, რომელთა შედეგებსაც პირდაპირ და მყისიერად მიიღებენ შინამეურნეობები სოფლად.

რაც შეეხება სხვა ღონისძიებებს, კერძოდ, ღონისძიებათა ბლოკს, პირობითი სახელწოდებით „ზრუნვა ბიზნესზე“, აგრეთვე ტურიზმის ამოქმედების, განათლების, დეველოპერული სექტორის მხარდაჭერის ანტიკრიზისულ გეგმების და სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის ღონისძიებათა უმეტესობას, მათი შედეგები მყისიერად და პირდაპირ არ აისახება შინამეურნეობების შემოსავლებზე, თუმცა ეკონომიკის გაჯანსაღებას უდავოდ შეუწყობს ხელს. სიმულაციური ანალიზის დროს ამ ღონისძიებების გათვალისწინება არ მოხდა ორი ძირითადი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, მათი მისამართულობის ხარისხი არ იძლევა სარგებლის მიმღები შინამეურნეობის გამოვლენის შესაძლებლობას და მეორე, ამ ღონისძიებების შედეგი გრძელვადიანია და მის სრულად შეფასებას რამდენიმე წელი სჭირდება.

3. კვლევის მეთოდოლოგია

ანტიპანდემიური შეზღუდვების სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შეფასება მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გათვალისწინებით სხვადასხვა გზითაა შესაძლებელი. დეტალიზაციის სიღრმე და დასკვნების ხარისხი დამოკიდებულია ინფორმაციულ მასივებზე, რომლებიც ანალიზისთვის გამოიყენება. საქართველოს შემთხვევაში ამ ტიპის კვლევისთვის ხელმისაწვდომია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ვებგვერდზე გამოქვეყნებული სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა და შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის მონაცემთა ბაზები[5].

ამ ინფორმაციული მასივების გამოყენებით შესაძლებელია აღნიშნული შეზღუდვების და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენის შეფასება, როგორც რეპრეზენტატიული შერჩევის წესით გამოკითხული შინამეურნეობის, ისე სხვადასხვა სოციალური ჯგუფების და გეოგრაფიული არეალის დონეზე. ცხადია, შერჩევის დიზაინი გარკვეულწილად ზღუდავს კვლევის დეტალიზაციის სიღრმეს, თუმცა ეს ზოგადად დამახასიათებელია ამგვარი კვლევებისათვის.

მონაცემთა დასახელებული ბაზების გარდა, წინამდებარე კვლევაში გამოვიყენეთ ინფორმაციის სხვა წყაროებიც. უშუალოდ პანდემიის დინამიკის ანალიზის მიზნით ვისარგებლეთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის[6] და საქართველოს მთავრობის მიერ სპეციალურად შექმნილი ოფიციალური ვებგვერდის[7] მონაცემებით. ქვეყნის ხელისუფლების მიერ შემოღებული ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და მისი ანტიკრიზისული ღონისძიებების სექტორული ზეგავლენის შეფასებისათვის დავეყრდენით საქართველოს მთავრობის,[8] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს,[9] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს,[10] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს [11] მონაცემებს. კვლევის პროცესში ვისარგებლეთ სიმულაციური ანალიზის მეთოდით, რისთვისაც გამოვიყენეთ საკვლევ პერიოდთან ყველაზე ახლოს მყოფი 2019 წლის მონაცემთა ბაზები. სიმულაციური ანალიზის გზით შევეცადეთ პასუხი გაგვეცა კითხვებზე: რა მოხდებოდა, პანდემია რომ 2019 წელს მოხდარიყო, ანუ როგორი იქნებოდა ანტიპანდემიური შეზღუდვების გავლენა შინამეურნეობების შემოსავლებზე, დასაქმებასა და სიღარიბეზე? და რა შედეგს მოიტანდა შინამეურნეობებში მთავრობის მიერ 2020 წელს გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებები 2019 წელს რომ გატარებულიყო?

კვლევის დაწყების მომენტისათვის საქსტატის ვებგვერდზე განთავსებული იყო პანდემიით პროვოცირებული კრიზისის პირობებში შედეგების ამსახველი 2020 წლის მე-2 კვარტალის აგრეგირებული შეფასებები. 2020 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლებისა და 2019 წლის მონაცემების სიმულაციური ანალიზის საშუალებით გაირკვა, თუ რა შედეგები შეიძლება მიგვეღო 2020 წლის მე-2 კვარტალში და მთლიანად 2020 წელს შინამეურნეობების დასაქმების, შემოსავლებისა და სიღარიბის თვალსაზრისით, რომ არ მომხდარიყო პანდემიური კრიზისი და რამდენად შემარბილებელ როლს

---

5 https://www.geostat.ge
6 https://www.worldometers.info/coronavirus
7 https://stopcov.g
8 http://gov.ge
9 https://www.moh.gov.ge
10 http://www.economy.ge
11 https://mepa.gov.ge

შეასრულებდა მთავრობის მიერ გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებები?

კვლევა რამდენიმე ეტაპად განხორციელდა:

პირველ ეტაპზე შესაბამისი წყაროებიდან შეგროვდა მთავრობის ყველა ანტიპანდემიური და ანტიკრიზისული გადაწყვეტილება, რომელთა კლასიფიცირების და სისტემატიზაციის შემდეგ შეიქმნა მონაცემთა ბაზა, რომელშიც გამოიყო ღონისძიებათა სამი ძირითადი ჯგუფი:

- გადაწყვეტილებები, რომლებიც აწესებენ შეზღუდვებს;
- გადაწყვეტილებები, რომლებიც ხსნიან შეზღუდვებს;
- გადაწყვეტილებები, რომლებიც არ არის დაკავშირებული შეზღუდვების დაწესებამოხსნასთან.

მეორე ეტაპზე განისაზღვრა თითოეული ღონისძიების გავლენის მასშტაბი და გამოიყო ორი ძირითადი ჯგუფი:

- ღონისძიებები, რომელთა გავლენა ვრცელდება ეროვნული მასშტაბით, ანუ შეეხება მთელ ქვეყანას;
- ღონისძიებები, რომელთა გავლენაც ლოკალური მასშტაბისაა და მოიცავს მხარეს, რაიონს, ქალაქს და სოფელს.

მესამე ეტაპზე თითოეული ღონისძიებისათვის განისაზღვრა უშუალოდ ეკონომიკაზე გავლენის ვექტორი და გამოიყო სამი ძირითადი ჯგუფი:

- ღონისძიებები, რომლებიც პირდაპირ ზემოქმედებენ ეკონომიკაზე;
- ღონისძიებები, რომლებიც ირიბად ზემოქმედებენ ეკონომიკაზე;
- ღონისძიებები, რომლებიც ეკონომიკაზე არ ზემოქმედებენ ან მათი გავლენა იმდენად უმნიშვნელოა, რომ შეიძლება მათი იგნორირება.

მეოთხე ეტაპზე განისაზღვრა გატარებული ღონისძიებების გავლენის ვექტორი შინამეურნეობების შემოსავლებზე და აქედან გამომდინარე სიღარიბის მაჩვენებლებზე. აქ გამოყო ღონისძიებების სამი ჯგუფი:

- ღონისძიებები, რომლებსაც პირდაპირი გავლენა აქვთ შინამეურნეობების შემოსავლებსა და ხარჯებზე;
- ღონისძიებები, რომლებსაც ირიბი გავლენა აქვთ შინამეურნეობების შემოსავლებსა და ხარჯებზე;
- ღონისძიებები, რომლებსაც გავლენა არ აქვთ შინამეურნეობების შემოსავლებსა და ხარჯებზე.

მეხუთე ეტაპზე განისაზღვრა გატარებული ღონისძიებების დასაქმებასა და შინამეურნეობების შემოსავლებზე გავლენის ვექტორი და გამოიყო ღონისძიებების სამი ძირითადი ჯგუფი:

- ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობენ შინამეურნეობების წევრების დასაქმებისა და შემოსავლების შემცირებას;
- ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობენ შინამეურნეობების წევრების დასაქმებისა და შემოსავლების ზრდას;
- ღონისძიებები, რომლებიც ამცირებენ შინამეურნეობების წევრების ხარჯებს ისე, რომ გავლენას არ ახდენენ დასაქმებასა და შემოსავლებზე.

მეექვსე ეტაპზე, დასაქმებასა და შემოსავლებზე უარყოფითი ეფექტების მქონე ღონისძიებების შინაარსიდან გამომდინარე, განისაზღვრა ეკონომიკის სექტორები (ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო კლასიფიკატორ NACE-ს შესაბამისად), რომლებზედაც აღნიშნულმა ღონისძიებებმა ნეგატიური გავლენა იქონიეს.

მეშვიდე ეტაპზე, ღონისძიების ხანგრძლივობიდან და მილევადობიდან გამომდინარე, განისაზღვრა უარყოფითი გავლენის სავარაუდო ხანგრძლივობა კვარტალების მიხედვით.

მერვე ეტაპზე თითოეული სექტორისათვის განისაზღვრა ნეგატიური გავლენის მასშტაბი კვარტალურად. თავიდან გავლენის მასშტაბი განისაზღვრა ანტიპანდემიური შეზღუდვის ხარისხიდან გამომდინარე, ხოლო საქსტატის ეროვნული ანგარიშების 2020 წლის მეორე კვარტალის მონაცემების საფუძველზე მოხდა სექტორების მიხედვით ნეგატიური გავლენის მასშტაბის კორექტირება;

მეცხრე ეტაპზე, დასაქმებასა და შემოსავლებზე დადებითი ეფექტების მქონე ღონისძიებების შინაარსიდან გამომდინარე, განისაზღვრა ეკონომიკის სექტორები (ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო კლასიფიკატორ NACE-ს შესაბამისად), რომლებზეც აღნიშნულმა ღონისძიებებმა პოზიტიური გავლენა იქონია.

მეათე ეტაპზე, ღონისძიების დაწყების თარიღიდან და აქსელერაციის სავარაუდო ხანგრძლივობიდან გამომდინარე, განისაზღვრა დადებითი გავლენის მასშტაბი კვარტალების მიხედვით.

მეთერთმეტე ეტაპზე მოხდა შედეგების აგრეგირება, რის საფუძველზეც მივიღეთ სექტორების მიხედვით და კვარტალებად დეზაგრეგირებული ცხრილი, რომელშიც მოცემულია შინამეურნეობების დასაქმებასა და შემოსავლებზე ანტიპანდემიური შეზღუდვების და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების პოზიტიური და ნეგატიური ზეგავლენის მასშტაბი.

მეთორმეტე ეტაპზე, გავლენის ჩვენი დადგენილი მასშტაბებით მოხდა შესაბამისი ცვლადების კორექტირება შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების და სამუშაო ძალის გამოკვლევის 2019 წლის მონაცემთა ბაზებში;

მეცამეტე ეტაპზე გაანგარიშდა დასაქმების, შემოსავლებისა და სიღარიბის მაჩვენებლები 2019 წელს, სამი სცენარის შესაბამისად:

- ფაქტობრივი შეფასებები, ანუ პანდემიით პროვოცირებული ეკონომიკური კრიზისის გათვალისწინების გარეშე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა;
- შეფასებები 2020 წელს დაწესებული ანტიპანდემიური შეზღუდვების უარყოფითი გავლენის სრულად გათვალისწინებით და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გათვალისწინების გარეშე;
- შეფასებები 2020 წელს დაწესებული ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და მთავრობის მიერ გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენის სრულად გათვალისწინებით.

ცხრილი #2: ეკონომიკის სექტორებზე ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენის მასშტაბის ამსახველი ინდექსები

NACE	სექტორი	გავლენა დასაქმებაზე				გავლენა შემოსავლებზე			
		Q1	Q2	Q3	Q4	Q1	Q2	Q3	Q4
A	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.18	0.00	0.00
B	სამთო-მოპოვებითი მრეწველობა	0.00	1.00	0.40	0.00	0.00	1.00	0.40	0.00
C	დამამუშავებელი მრეწველობა	0.00	0.67	0.27	0.00	0.00	0.67	0.27	0.00
D	ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
E	წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
F	მშენებლობა	0.00	1.00	0.23	0.09	0.00	1.00	0.17	0.09
G	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	0.00	0.54	0.15	0.00	0.00	0.54	0.15	0.00
H	ტრანსპორტი და დასაწყობება	0.00	0.67	0.35	0.08	0.00	0.67	0.35	0.08
I	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	0.00	1.00	0.73	0.43	0.00	1.00	0.73	0.43
J	ინფორმაცია და კომუნიკაცია	0.00	0.16	0.07	0.00	0.00	0.16	0.07	0.00
K	საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
L	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	0.00	0.50	0.20	0.00	0.00	0.50	0.20	0.00
M	პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	0.00	0.16	0.06	0.00	0.00	0.16	0.06	0.00
N	ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	0.00	0.50	0.42	0.28	0.00	0.50	0.42	0.28
O	სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
P	განათლება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
Q	ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	0.00	0.06	0.03	0.00	0.00	0.06	0.03	0.00
R	ხელოვნება, გართობა და დასვენება	0.00	0.78	0.48	0.36	0.00	0.78	0.48	0.36
S	სხვა სახის მომსახურება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
T	შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის	0.00	0.93	0.56	0.00	0.00	0.93	0.56	0.00

წყარო: ავტორთა გაანგარიშებები

დასაქმებასა და შემოსავლებზე პანდემიით პროვოცირებული კრიზისის უარყოფითი გავლენის მასშტაბისა და პერიოდულობის არგუმენტაცია სექტორების მიხედვით შემდეგია:

A. სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა: შეზღუდვების პიკი საგაზაფხულო სამუშაოებს დაემთხვა, როდესაც სოფლის მეურნეობიდან შემოსავალი პრაქტიკულად ნულოვანია. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის გადაადგილების შეზღუდვა სპეციალური გამონაკლისის წესით იყო დაშვებული. ამდენად, დასაქმების მხრივ, აღნიშნულ სექტორზე შეზღუდვების უარყოფითი გავლენა შედარებით მცირე იყო. რაც შეეხება შინამეურნეობების შემოსავლებს: შეზღუდვები ძირითადად 2020 წლის მე-2 კვარტალს მოიცავს, თუმცა ისინი კვების პროდუქტებით ვაჭრობას არ შეხებია. გამონაკლისს მხოლოდ ის რაიონები წარმოადგენენ, რომლებსაც საკარანტინო შეზღუდვა შეეხოთ. შინამეურნეობების შემოსავლებში, კერძოდ, ქვემო ქართლის რეგიონში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან მიღებული ფულადი შემოსავალი შეიძლება შემცირებულიყო. არაფულად შემოსავლებს, ანუ მიმდინარე ფასებში შეფასებულ საკუთარი წარმოების პროდუქტების მოხმარებას, შეზღუდვები ვერ შეეხებოდა.
B. სამთო-მოპოვებითი მრეწველობა: შეზღუდვას, რომელმაც 31 მარტიდან 29 მაისამდე ფაქტობრივად მთლიანად შეაჩერა საწარმოო საქმიანობა ამ სექტორში, თითქმის 100-პროცენტიანი უარყოფითი გავლენა ჰქონდა როგორც დასაქმებაზე, ისე შემოსავლებზე.
C. დამამუშავებელი მრეწველობა: შეზღუდვას ეკონომიკის ამ სექტორზეც (კვების და ფარმაცევტული მრეწველობის გარდა) ანალოგიური ნეგატიური გავლენა ჰქონდა.
D. ელექ ტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება: ეკონომიკის ამ სექტორს შეზღუდვები არ შეხებია.
E. წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები: ეკონომიკის ამ სექტორს შეზღუდვები არ შეხებია.
F. მშენებლობა: 31 მარტიდან 29 მაისამდე მოქმედმა შეზღუდვამ ამ სექტორის ფუნქციონირება ფაქტობრივად შეაჩერა, რასაც მკვეთრად უარყოფითი გავლენა ჰქონდა როგორც დასაქმების, ისე შემოსავლების მხრივ.
G. საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი: ამ სექტორზე ანტიპანდემიური შეზღუდვების უარყოფითი გავლენა არაერთგვაროვანია. ვაჭრობის ობიექტები, სასურსათო მაღაზიების და აფთია-ქების გარდა, 2020 წლის 19 მარტიდან დაიხურა. მარტის ბოლოს, კომენდანტის საათით დაწესებული შეზღუდვები ნაწილობრივ სასურსათო მაღაზიებსა და აფთიაქებსაც შეეხო, თუმცა ამ რეჟიმმა მხოლოდ ერთი თვე იმოქმედა. 2020 წლის 11 მაისიდან ყველა სახის საცალო და საბითუმო მაღაზია გაიხსნა, ხოლო 1 ივნისი-დან - მსხვილი სავაჭრო ცენტრები, თუმცა, სავაჭრო ობიექტებში მომხმარე-ბლების რაოდენობა ლიმიტირებული იყო მთელი მეორე კვარტალის მანძილზე. ყოველივე ეს, რასაკვირველია, უარყოფითად მოქმედებდა ვაჭრობის სექტორზე და აფერხებდა მას. რაც შეეხება ამავე სექტორში შემავალ ავტომობილების და მოტოციკლების რემონტს, შეზღუდვები მასაც შეეხო. 31 მარტიდან ამ პროფილის საწარმოები დაიკეტა, ხოლო 5 მაისიდან მათი ფუნქციონირება სრულად აღდგა. საბითუმო და საცალო ვაჭრობისგან განსხვავებით, მათი გახსნა დაუყოვნებლივ მოხდა.
H. ტრანსპორტი და დასაწყობება: ანტიპანდემიური შეზღუდვების უარყოფითი გავლენა ეკონომიკის ამ სექტორზეც არაერთგვაროვანი იყო.
    a. რკინიგზის საქალაქთაშორისო სამგზავრო ტრანსპორტი: შეზღუდვა აქ

მხოლოდ აპრილსა და მაისის პირველ ნახევარში მოქმედებდა. მაისის მეორე ნახევრიდან ტრანსპორტის ამ სახეობის საქმიანობა მთლიანად აღდგა;

b. სამგზავრო-სახმელეთო ტრანსპორტი: სრული შეზღუდვა მომსახურების ამ სახეობაზე მეორე კვარტალში მოქმედებდა, ივნისის ბოლოდან შეზღუდვა მოიხსნა. ამჟამად მოქმედებს მხოლოდ ტაქსით არაუმეტეს ორი მგზავრის გადაყვანის შეზღუდვა;

c. საგზაო-სატვირთო ტრანსპორტი და გადაზიდვის მომსახურება: სრული შეზღუდვა ამ ტიპის საქმიანობაზე მხოლოდ მეორე კვარტალის პირველ ნახევარში მოქმედებდა. მაისის მეორე ნახევრიდან ამ ტრანსპორტის საქმიანობა მთლიანად აღდგა;

d. მილსადენებით ტრანსპორტირება: ამ ტიპის ტრანსპორტს არანაირი შეზღუდვა არ შეხებია;

e. დასაწყობება და შენახვა: ამ საქმიანობასაც შეზღუდვა მხოლოდ მეორე კვარტალის პირველ ნახევარში შეეხო;

f. ტრანსპორტირების დამხმარე საქმიანობები: აქაც შეზღუდვა მხოლოდ მეორე კვარტალის პირველ ნახევარში მოქმედებდა.

I. განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები: ეს სექტორი კრიზისის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა, რაც, ბუნებრივია, აისახებოდა მასში დასაქმებასა და შემოსავლებზე. მეორე კვარტალში სექტორი მთლიანად გაჩერდა, ხოლო მესამეში - ნაწილობრივ აღდგა. და შეზღუდვები მთელი წლის მანძილზე მოქმედებდა.

J. ინფორმაცია და კომუნიკაცია: ამ სექტორზე შეზღუდვების უარყოფითი გავლენა მინიმალური იყო. მისი უდიდესი ნაწილი უპრობლემოდ გადადის დისტანციურ რეჟიმზე. შეზღუდვების უარყოფითი გავლენა, ისიც მეორე კვარტალის პირველ ნახევარში, შეიძლება შეხებოდა მხოლოდ საგამომცემლო საქმიანობას.

K. საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები: ამ სექტორზე შეზღუდვების უარყოფითი გავლენა უმნიშვნელო იყო, რადგან მისი დისტანციურ რეჟიმში ფუნქციონირება პრობლემას არ წარმოადგენს.

L. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები: ამ სექტორზე შეზღუდვების უარყოფითი ეფექტი მხოლოდ მეორე კვარტალის პირველ ნახევარში აღინიშნა, როდესაც ყოველგვარი პერსონალური კონტაქტი აკრძალული იყო.

M. პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები: ამ სექტორზე შეზღუდვების უარყოფითი გავლენა მინიმალური იყო, ვინაიდან მისი საქმიანობის უდიდესი ნაწილი უპრობლემოდ გადადის დისტანციურ რეჟიმზე. შეზღუდვების უარყოფითი გავლენა, ისიც მეორე კვარტალის პირველ ნახევარში, შეიძლება შეხებოდა იურიდიულ და საღრიცხვო-საბუღალტრო-აუდიტორულ საქმიანობას, ვინაიდან, სავარაუდოდ, მინიმალურ კონტაქტს მაინც საჭიროებს, რაც ამ პერიოდში აკრძალული იყო.

N. ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები: ამ სექტორიდან პრაქტიკულად მთლიანად გაჩერდა ტურისტული სააგენტოებისა და ტუროპერატორების საქმიანობა.

O. სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება: ამ სექტორზე ანტიპანდემიურ შეზღუდვებს გავლენა არ მოუხდენია, რადგან საჯარო მოსამსახურეები გადავიდნენ დისტანციური მუშაობის რეჟიმზე ან დროებით დათხოვნილ იქნენ ანაზღაურების შენარჩუნებით.

P. განათლება: ანტიპანდემიური შეზღუდვების უარყოფითი გავლენა ამ სექტორზეც არ იყო მასშტაბური, ვინაიდან საგანმანათლებლო დაწესებულებები დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადავიდნენ.

Q. ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები: შეზღუდვების გავლენა

ამ სექტორზეც უმნიშვნელო იყო, ვინაიდან ჯანმრთელობის დაცვის საქმიანობა გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს, ხოლო სოციალური მომსახურების საქმიანობებში ჩართული მოქალაქეები დათხოვნილ იქნენ ხელფასის შენარჩუნებით. შეზღუდვების უარყოფითი გავლენა მხოლოდ რეზიდენტული მოვლის საქმიანობებს შეიძლება შეხებოდა, ვინაიდან იგი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ არ იმყოფება.

R. ხელოვნება, გართობა და დასვენება: ამ სექტორის საქმიანობების აბსოლუტურ უმეტესობაზე შეზღუდვების უარყოფითი გავლენა მაქსიმალური იქნებოდა, გარდა ბიბლიოთეკების და მუზეუმების საქმიანობისა, რომელიც სახელმწიფო დაქვემდებარებაშია და ამ დაწესებულებებში მომუშავე პერსონალი სამუშაოს და შემოსავალს არ დაკარგავდნენ.

S. სხვა სახის მომსახურება: ამ სექტორზე ანტიპანდემიური შეზღუდვების უარყოფითი გავლენა მინიმალური იყო, ვინაიდან მისი დისტანციურ რეჟიმში ფუნქციონირება პრობლემას არ წარმოადგენს.

T. შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ: ეს სექტორი კრიზისის შედეგად დიდად დაზარალდა. სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზაში მხოლოდ შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის საქმიანობები იძებნება, ხოლო შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის წარმოება ცალკე გამოყოფილი არაა.

დასაქმებასა და შემოსავლებზე ანტიკრიზისული ღონისძიებების პოზიტიური გავლენის მასშტაბისა და პერიოდულობის არგუმენტაცია სექტორების მიხედვით შემდეგია:

A. სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა: მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა ამ სექტორში დასაქმების რაოდენობრივი ზრდისკენ არ არის მიმართული და უფრო დასაქმების თვისებრივი მახასიათებლების გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. დაგეგმილი ღონისძიებების ძირითადი ნაწილის შედეგები შინამეურნეობების შემოსავლებზე მხოლოდ საშუალოვადიან პერიოდში აისახება, თუმცა არის ისეთებიც, რომელთა გავლენაც მყისიერია.

B. სამთო-მოპოვებითი მრეწველობა: ამ სექტორისათვის სპეციალური ანტიკრიზისული გეგმა არ შემუშავებულა, თუმცა მთავრობის ღონისძიებები ზოგადად დასაქმებულთათვის გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს, რომელთა ეფექტიანობის შეფასება შინამეურნეობის დონეზე შესაძლებელია, რადგან მათი მისამართულობის ხარისხი საკმაოდ მაღალია.

C. დამამუშავებელი მრეწველობა: იგივე შეიძლება ითქვას ამ სექტორზეც.

D. ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება: ამ სექტორზე კრიზისის გავლენა მინიმალურია, ამდენად ანტიკრიზისული ღონისძიებები დასაქმებულებს ნაკლებად შეეხოთ.

E. წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები: იგივე შეიძლება ითქვას ამ სექტორზეც.

F. მშენებლობა: ამ სექტორისათვის სპეციალური ანტიკრიზისული გეგმა შემუშავდა, თუმცა სიმულაციური ანალიზის ფარგლებში მისი შედეგების შეფასება ვერ მოხერხდა, ვინაიდან პროგრამის ძირითადი ბენეფიციარები დეველოპერული კომპანიები არიან, ხოლო შინამეურნეობის დონეზე მისი გავლენის შეფასება, არსებული ინფორმაციული მასივების გამოყენებით, შეუძლებელია. ზოგადად მთავრობის ღონისძიებები ითვალისწინებს გარკვეულ შეღავათებს ამ სექტორში დასაქმებული პირებისთვის, რომელთა ეფექტიანობის შეფასება შინამეურნეობის დონეზე შესაძლებელია, რადგან მათი მისამართულობის ხარისხი საკმაოდ მაღალია.

G. საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი: ამ სექტორისათვის სპეციალური ანტიკრიზისული გეგმა არ შემუშავებულა, ზოგადად მთავრობის ღონისძიებები ამ სექტორში დასაქმებული პირებისთვის გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს, რომელთა შინამეურნეობის დონეზე შეფასება შესაძლებელია.
H. ტრანსპორტი და დასაწყობება: იგივე შეიძლება ითქვას ამ სექტორზეც.
I. განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები: იგივე შეიძლება ითქვას ამ სექტორზეც.
J. ინფორმაცია და კომუნიკაცია: ამ სექტორზე კრიზისის უარყოფითი გავლენა მინიმალურია და მისი მხარდაჭერისთვის სპეციალური პროგრამა არ შემუშავებულა. იგივე შეიძლება ითქვას ისეთ სექტორებზე, როგორიცაა:
K. საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები;
L. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები;
M. პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები;
O. სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება;
P. განათლება;
Q. ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები;
R. ხელოვნება, გართობა და დასვენება: ზოგადად, სამთავრობო პროგრამა ამ სექტორში დასაქმებული პირებისთვისაც ითვალისწინებს გარკვეულ შეღავათებს, რომელთა შინამეურნეობის დონეზე შეფასება შესაძლებელია. იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ სექტორებზეც:
S. სხვა სახის მომსახურება;
T. შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ.

4. დასაქმება

4.1. ანტიპანდემიური შეზღუდვების და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების შედეგების სიმულაციური ანალიზი 2019 წლისთვის

დასაქმებაზე ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენის სიმულაციური ანალიზისთვის წინამდებარე კვლევაში გამოვიყენეთ საქართველოში სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზის ეკონომიკური სტატუსის ცხრილი, სადაც დიქოტომიური ცვლადების სახით ასახულია გამოკითხული რესპონდენტების განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით (დასაქმებული, უმუშევარი, სამუშაო ძალას არმიკუთვნებული). ამავე მონაცემთა ბაზაში მოცემულია დასაქმების სექტორის კოდი ეკონომიკური საქმიანობების კლასიფიკატორ NACE-ის მე-2 რედაქციის მიხედვით.

პირველ რიგში გავაანალიზეთ 2019 წელს დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკის სექტორების მიხედვით, სამნიშნა კოდების დონეზე. შემდეგ ამავე სამნიშნა კოდების დონეზე განვიხილეთ მთავრობის ანტიპანდემიური შეზღუდვები. ამ დონეზე დეტალიზებული სტრუქტურის ანალიზის აუცილებლობა გამოწვეული იყო იმით, რომ აღნიშნული შეზღუდვები სექტორის სხვადასხვა განყოფილებას განსხვავებული ზომით შეეხო. მაგალითად, ავიღოთ სექტორი G - საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი. ამ სექტორის 47.4 განყოფილებით (საცალო ვაჭრობა საინფორმაციო და საკომუნიკაციო მოწყობილობებით სპეციალიზებულ მაღაზიებში) კლასიფიცირებული ობიექტები მთელი მე-2 კვარტალის განმავლობაში დახურული იყო, ხოლო 47.2 განყოფილებით (საცალო ვაჭრობა კვების პროდუქტებით, სასმელებით და თამბაქოს ნაწარმით სპეციალიზებულ მაღაზიებში) კლასიფიცირებულ ობიექტებს მხოლოდ კომენდანტის საათით და სოციალური დისტანციის დაცვით გამოწვეული შეზღუდვები შეეხო, რამაც, ცხადია, შეანელა მათი ეკონომიკური აქტივობა, მაგრამ სრულად არ გაუჩერებია, როგორც პირველ შემთხვევაში იყო.

ამდენად, თითოეულ განყოფილებას, რომელშიც გამოკვლევის მიხედვით, საკმარისი სტატისტიკური სიხშირე დაგროვდა, ანტიპანდემიური შეზღუდვების შინაარსიდან გამომდინარე მიენიჭა კოეფიციენტი 0-დან 1-მდე, სადაც 0 ნიშნავს, რომ ანტიპანდემიური შეზღუდვები ეკონომიკური საქმიანობის ამ სახეობას არ შეხებია, ხოლო 1 - შეზღუდვების შედეგად ეს საქმიანობა მთლიანად შეჩერდა.

ამის შემდეგ ეკონომიკური სტატუსის ცხრილში შემავალი დასაქმების დიქოტომიური ცვლადი დასაქმების განყოფილების შესაბამისი კოეფიციენტით დაკორექტირდა, რის საფუძველზეც გავიანგარიშეთ შემცირებული დასაქმების მაჩვენებელი. რაც შეეხება ანტიპანდემიური შეზღუდვების შედეგად „გამოთავისუფლებულ“ სამუშაო ძალას, ის პირდაპირ დავამატეთ უმუშევრებს. ამ გზით შევაფასეთ მხოლოდ შეზღუდვების სავარაუდო გავლენა, მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გათვალისწინების გარეშე.

მომდევნო ეტაპზე შემცირებული დასაქმების ცვლადი თითოეული დასაქმებულისათვის მთავრობის ანტიკრიზისული პროგრამით გათვალისწინებული იმ ღონისძიებების შესაბამისად დავაკორექტირეთ, რომელიც უშუალოდ სამუშაო ადგილების შენარჩუნებას შეეხებოდა. ამ გზით შევაფასეთ მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების სავარაუდო ეფექტიანობა ამ მიმართულებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეზღუდვების შედეგად „გამოთავისუფლებული“ სამუშაო ძალა უმუშევრის სტატუსში დაუყოვნებლივ არ გადადის, ამას გარკვეული პერიოდი

სჭირდება, განსაკუთრებით, პანდემიური ლოკდაუნის ბუნებიდან გამომდინარე: სამუშაოს მოკლებული სამუშაო ძალა ჯერ მოლოდინის რეჟიმში იმყოფება, შემდეგ მისი ნაწილი შედარებით დაბალკვალიფიციურ სამუშაოზე ან დაბალანაზღაურებად სექტორში ცდილობს „მოწყობას“, ნაწილი სამუშაო ძალის გარეთ გადის, დანარჩენი კი განაგრძობს ლოდინს. შეიძლება ითქვას, რომ უმუშევრებს დაემატა უმუშევრობის მაღალი რისკის მქონე სამუშაო ძალა. ამდენად, სიმულაციური ანალიზის შედეგად გაანგარიშებული უმუშევრობის დონე წარმოადგენს მაქსიმალურად შესაძლებელ მაჩვენებელს იმ შემთხვევაში, თუ „გამოთავისუფლებული“ სამუშაო ძალა მთლიანად უმუშევრებს შეუერთდებოდა.

როგორც სიმულაციურმა ანალიზმა გვაჩვენა, პანდემია 2019 წელს რომ ყოფილიყო, უმუშევრობის დონე 2019 წელს, 11.6 პროცენტის ნაცვლად, 21.0 პროცენტი იქნებოდა, ხოლო მთავრობის მიერ სამუშაო ადგილების შენარჩუნებაზე ორიენტირებული ღონისძიებების შედეგად, ეს მაჩვენებელი 3.9 პროცენტული პუნქტით ნაკლები - 17.1 პროცენტი იქნებოდა.

ანტიპანდემიური შეზღუდვების გავლენა უმუშევრობის მაჩვენებელზე მაქსიმალური მე-2 კვარტალში იქნებოდა, როდესაც უმუშევრობის დონე ფაქტობრივზე სამჯერ და მეტად მაღალი შეიძლება ყოფილიყო (34.2 პროცენტი, ნაცვლად ფაქტობრივი 11.4 პროცენტისა). მე-3 და მე-4 კვარტალებში შეზღუდვების გავლენა შემცირდებოდა, თუმცა უმუშევრობის დონე, ფაქტობრივთან შედარებით, მაინც მაღალი დარჩებოდა. ამასთან, საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნებოდა მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების სავარაუდო ეფექტი, რაც არსებითად შეამცირებდა უმუშევრობის მაქსიმალურად შესაძლებელ დონეს (მე-2 კვარტალში – 34.2 პროცენტიდან 20.7 პროცენტამდე, ხოლო მე-3 კვარტალში – 20.7-დან 18.8 პროცენტამდე).

დიაგრამა #6: შსო კრიტერიუმით უმუშევრობის დონე 2019 წლის კვარტალების მიხედვით (სიმულაციური ანალიზის შედეგები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

ანტიპანდემიური შეზღუდვების უმუშევრობაზე გავლენა, რასაკვირველია, უფრო ძლიერი ქალაქში იქნებოდა. შეზღუდვები უარყოფითად იმოქმედებდა სოფელზეც, მაგრამ ქალაქთან შედარებით – არსებითად ნაკლებად. ამის ძირითადი მიზეზი სოფლად დასაქმების სტრუქტურაა, რომელშიც უპირობოდ დომინირებს საკუთარ მიწაზე დაბალეფექტიანი, მაგრამ ნებისმიერი კრიზისის მიმართ მედეგი თვითდასაქმება, რასაც ანტიპანდემიური შეზღუდვები არ შეხებია.

სიმულაციური ანალიზის მიხედვით, 2019 წელს საშუალოდ უმუშევრობის დონე ქალაქში 25.2 პროცენტი იქნებოდა, რაც 7.8 პროცენტული პუნქტით აღემატება 2019 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელს. სოფლად აღნიშნული მაჩვენებელი 8.8 პროცენტი შეიძლება ყოფილიყო, რაც 3.3 პროცენტული პუნქტით მეტია 2019 წლის ფაქტობრივ დონეზე.

მე-2 კვარტალში ქალაქში უმუშევრობის მაქსიმალურად შესაძლებელი დონე 49.6 პროცენტი იქნებოდა, ხოლო სოფლად - 18.3 პროცენტი. მთავრობის ანტიკრიზისული პროგრამების გავლენა ქალაქში უმუშევრობის მაჩვენებელზე გაცილებით უფრო მასშტაბური იქნებოდა, სოფელთან შედარებით.

დიაგრამა #7: შსო კრიტერიუმით უმუშევრობის დონე 2019 წლის კვარტალებისა და ქალაქი/სოფლის მიხედვით (სიმულაციური ანალიზის შედეგები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

ანტიპანდემიური შეზღუდვები 2019 წელს რომ დაწესებულიყო, უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალი თბილისში იქნებოდა (31.6 პროცენტი), თუმცა ცვლილება ყველაზე დრამატული აჭარაში შეიძლება ყოფილიყო - 8.8 პროცენტიდან 21.2 პროცენტამდე, რაც სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან შეზღუდვები ყველაზე მეტად ტურიზმთან დაკავშირებულ საქმიანობებზე გავრცელდა. რაც შეეხება უმუშევრობის დონის ზრდის ტემპს, ყველაზე მაღალი გურიის რეგიონში იქნებოდა (თითქმის ოთხჯერადი ზრდა - 2.5 პროცენტიდან 9.7 პროცენტამდე), მაგრამ უმუშევრობის მაქსიმალურად შესაძლებელი 9.7-პროცენტიანი დონე მაინც არ არის ისეთი მაღა-ლი, რომ ის სოციალურ საფრთხედ იქნეს მიჩნეული.

საერთო ჯამში, ანტიპანდემიური შეზღუდვების რეგიონებზე უარყოფითი გავლენის მასშტაბის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი მათი ურბანულობის ხარისხი და ტურისტული ინდუსტრიის განვითარების დონეა: რაც უფრო მეტად ურბანულია რეგიონი და რაც უფრო მეტადაა განვითარებული ტურიზმის სექტორი, მით უფრო ძლიერია კრიზისის დარტყმა.

დიაგრამა #8: შსო კრიტერიუმით უმუშევრობის დონე 2019 წელს რეგიონებში (სიმულაციური ანალიზის შედეგები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

დასაქმების სტრუქტურის ცვლილებების სიმულაციაც უმუშევრობის ანალოგიურად ჩატარდა. შეზღუდვების სიმკაცრის მიხედვით დასაქმების თითოეული სექტორისთვის განისაზღვრა სამუშაოს დაკარგვის ალბათობის მაჩვენებელი. გარდა ამისა, თითოეული სექტორისა და დასაქმებულისათვის განისაზღვრა სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულად გადასვლის ალბათობა. ამ მაჩვენებლის მისაღებად, პირველ რიგში, გავითვალისწინეთ დასაქმებულის შინამეურნეობის მიერ სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული მიწის არსებობის დიქოტომიური ცვლადი, რაც შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის საფუძველზე დავადგინეთ. ამასთან, გავიანგარიშეთ პროპორცია - შეზღუდვების გავლენის ქვეშ მყოფი დასაქმებულების რა ნაწილს მიუწვდება ხელი მიწაზე, სამეურნეოდ გამოსაყენებლად. სამუშაოს დაკარგვის ალბათობის მაჩვენებლის და სამეურნეოდ მიწაზე წვდომის ალბათობის გათვალისწინებით, გავიანგარიშეთ სოფლის მეურნეობის სექტორში გადასვლის ალბათობის მაჩვენებელი.

ქვემოთ, ცხრილში, სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა სამივე სცენარისთვის ერთნაირია. ბოლო სვეტში მოცემულია ეკონომიკის თითოეულ სექტორში დასაქმებულთაგან სავარაუდოდ რამდენი გადავიდოდა სოფლის მეურნეობის სექტორში. ეს მნიშვნელოვანი გარემოებაა, ვინაიდან შსო-ს დღეს მოქმედი კრიტერიუმებით, ეს ადამიანები უმუშევრად არ ითვლებიან, მაგრამ შემოსავლების თვალსაზრისით მათი დასაქმების ეფექტიანობა დაბალია და მაქსიმუმი, რისი მიღწევაც ასეთი დასაქმებით შეიძლება, კვების პროდუქტებით ელემენტარული უზრუნველყოფაა.

სექტორების მიხედვით დასაქმების მთლიანი სტრუქტურა არსებითად არ შეიცვლებოდა, რისი უმთავრესი მიზეზი სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წონაა. იმ სექტორების ხვედრითი წონა, რომლებზეც ანტიპანდემიურმა შეზღუდვებმა გავლენა იქონია, მცირეა და საერთო სტრუქტურაში მათი ცვლილება უმნიშვნელოდ შეიძლება მოგვეჩვენოს.

აღსანიშნავია, რომ სიმულაციური ანალიზის მიხედვით, შეზღუდვები 2019 წელს რომ დაწესებულიყო, სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა რაოდენობა ამავე წელს, საშუალოდ, 26 ათასით, ანუ 4 პროცენტით გაიზრდებოდა.

ცხრილი #3: დასაქმების სტრუქტურა 2019 წელს (სიმულაციური ანალიზის შედეგები)

	ფუტბრივად	მხოლოდ შეზღუდვების პირობებში	შეზღუდვების პირობებში და სახელმწიფო პროგრამების გათვალისწინებით	ფუტბრივად	მხოლოდ შეზღუდვების პირობებში	შეზღუდვების პირობებში და სახელმწიფო პროგრამების გათვალისწინებით	სასოფლო თვითდასაქმებაში გადამსვლელები (ათასი კაცი)
	რაოდენობა			პროცენტი			
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	644.6	644.6	644.6	38.1	42.7	40.7	0.0
მრეწველობა	105.2	80.2	95.9	6.2	5.3	6.1	5.8
ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი	17.3	17.3	17.3	1.0	1.1	1.1	0.3
წყალმომარაგება; კანალიზაცია, დასუფთავება	16.5	16.5	16.5	1.0	1.1	1.0	0.0
მშენებლობა	102.0	68.6	81.6	6.0	4.5	5.2	4.6
ვაჭრობა; ავტომობილების რემონტი	197.0	162.8	175.7	11.7	10.8	11.1	3.6
ტრანსპორტი და დასაწყობება	82.4	58.7	64.8	4.9	3.9	4.1	2.5
სასტუმროები და რესტორნები	49.1	19.1	31.4	2.9	1.3	2.0	4.0
ინფორმაცია და კომუნიკაცია	19.1	18.4	18.7	1.1	1.2	1.2	0.5
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	30.9	30.9	30.9	1.8	2.0	1.9	0.0
უძრავი ქონება და პროფესიული საქმიანობები	45.5	37.6	39.9	2.7	2.5	2.5	0.6
სახელმწიფო მართვა	93.7	93.7	93.7	5.5	6.2	5.9	0.8
განათლება	154.2	154.2	154.2	9.1	10.2	9.7	0.0
ჯანდაცვა და სოც. მომსახურების საქმიანობები	60.6	59.0	60.4	3.6	3.9	3.8	1.0
ხელოვნება, გართობა და დასვენება	30.1	15.8	22.0	1.8	1.1	1.4	1.8
სხვა სახის მომსახურება	41.5	31.3	35.9	2.5	2.1	2.3	0.1
სულ	1689.7	1508.7	1583.4	100.0	100.0	100.0	25.6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

თუ დასაქმების მთლიან სტრუქტურაში ცვლილებები თვალნათლივ არ იგრძნობა, რაოდენობრივი ცვლილებები სექტორების მიხედვით არსებითია.

სიმულაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ კრიზისი 2019 წელს რომ ყოფილიყო, ყველაზე მეტად სასტუმროებისა და რესტორნების სექტორი დაზარალდებოდა, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 2019 წელს, საშუალოდ, 61 პროცენტით შემცირდებოდა. მთავრობის სამუშაო ადგილების შენარჩუნებაზე მიმართული ღონისძიებები ამ ვარდნას 36 პროცენტამდე დაიყვანდა. 47 პროცენტით დაიკლებდა დასაქმება დასვენების, გართობისა ხელოვნების სექტორში. მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებები ამ კლებას 27 პროცენტამდე შეამცირებდა.

მნიშვნელოვნად დაზარალდებოდნენ მრეწველობის, მშენებლობის, ვაჭრობის, უძრავი ქონების და პროფესიული საქმიანობისა და ტრანსპორტის სექტორებში დასაქმებულები. უმნიშვნელო იქნებოდა ვარდნა ჯანმრთელობის დაცვის და ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორებში.

აღსანიშნავია, რომ მთავრობის სამუშაო ადგილების შენარჩუნებაზე მიმართული ანტიკრიზისული ღონისძიებები საკმაოდ მნიშვნელოვნად შეარბილებდნენ კრიზისის ნეგატიურ გავლენას, მაგრამ, საბოლოო ჯამში, დარტყმა მაინც ძალიან ძლიერი იქნებოდა. მაგალითად, მხოლოდ შეზღუდვების პირობებში მშენებლობის სექტორში სამუშაოს დაკარგავდა დასაქმებულთა 32.7 პროცენტი, ხოლო სახელმწიფო ანტიკრიზისული ღონისძიებების მეშვეობით ეს მაჩვენებელი 20 პროცენტამდე შემცირდებოდა.

დიაგრამა #9: დასაქმების ცვლილება ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2019 წელს (სიმულაციური ანალიზის შედეგები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

კრიზისთან დაკავშირებული შეზღუდვები არ შეეხებოდა სახელმწიფოს მართვის, განათლების, საფინანსო, ენერგეტიკის, წყალმომარაგებისა და სოფლის მეურნეობის სექტორებს.

4.2. მოსალოდნელი შედეგები 2020-2021 წლებში

2020 წლის აგვისტოს ბოლოს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა სამუშაო ძალის გამოკვლევის მიხედვით გაანგარიშებული უმუშევრობის დონის მონაცემები, რომლის თანახმადაც, შსო-ს კრიტერიუმით, 2020 წლის მე-2 კვარტალში უმუშევრობის დონე საქართველოში 12.3 პროცენტი იყო, რაც თითქმის სამჯერ დაბალია უმუშევრობის იმ დონეზე, რომელიც სიმულაციური ანალიზის შედეგად მივიღეთ. რომელი მონაცემია უფრო სარწმუნო? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა შსო-ს კრიტერიუმით განსაზღვრული დასაქმებულის დეფინიციის[12] უფრო სიღრმისეული ანალიზი.

[12] შსო-ს კრიტერიუმით დასაქმებულად ითვლება 15 წლისა და უფროსი ასაკის ყველა ის პირი, რომელიც გამოკითხვის წინა 7 დღის განმავლობაში თუნდაც ერთი საათით მაინც მუშაობდა ფულადი ან ნატურალური შემოსავლის მისაღებად ან ჰქონდა სამუშაო, რომელსაც დროებით ვერ ასრულებდა.

უმუშევრობის ამ, ერთი შეხედვით, არარეალურად დაბალი მაჩვენებლიდან გამომდინარე, საქსტატს ვთხოვეთ მოეწოდებინა სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, სადაც შესული იქნებოდა გამოკვლევის კითხვარის A ბლოკის კითხვები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება გამოკითხული რესპონდენტის ეკონომიკური სტატუსი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული 2019 და 2020 წლების 1-ლი და მე-2 კვარტალური გამოკვლევის მონაცემთა ბაზების ანალიზით გაირკვა, რომ 2020 წლის მე-2 კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 6.4-ჯერ არის გაზრდილი იმ დასაქმებულების რაოდენობა, რომლებმაც განაცხადეს, რომ გამოკითხვის წინა შვიდი დღის განმავლობაში ჰქონდათ სამუშაო, რომელსაც დროებით ვერ ასრულებდნენ. ასეთი დასაქმებულების ხვედრითი წონა მთლიანი დასაქმების 19 პროცენტი იყო, რაც შეიძლება მხოლოდ პანდემიით პროვოცირებული კრიზისით აიხსნას. იმავე ჯგუფის ხვედრითი წონა 2019 წლის მე-2 კვარტალში მხოლოდ 3 პროცენტი იყო.

საინტერესოა დასაქმებულთა ამ ჯგუფის განაწილება იმ მიზეზების მიხედვით, რის გამოც დროებით ვერ ასრულებდნენ სამუშაოს, რომელიც ჰქონდათ.

უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემებით, ასეთი ტიპის დასაქმებულების რაოდენობა 2020 წლის 1-ლ კვარტალშიც გაიზარდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, თუმცა არა იმდენად, რამდენადაც მე-2 კვარტალში. როგორც ჩანს, ანტიპანდემიური შეზღუდვების შემოღებამ და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ ერთობ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ეკონომიკურ აქტივობაზე და, შესაბამისად, დასაქმებაზე.

საყურადღებოა, რომ ისეთი დასაქმებულების რაოდენობა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო დროებით ვერ ასრულებდნენ სამუშაოს, 2019 წლის პირველ კვარტალში უფრო მეტი იყო, ვიდრე მეორეში. დიდი ალბათობით, ეს კანონზომიერება სხვა წლებშიც აღინიშნებოდა. ამის საფუძველს იძლევა სამუშაოს ვერ შესრულების მიზეზების მიხედვით განაწილება, რომლის თანახმადაც:

- ორივე წლის პირველი კვარტალის განაწილებაში დომინირებს სამუშაო სეზონის დამთავრების მიზეზი, რომელიც მეორე კვარტალის განაწილებებში გაცილებით ნაკლებადაა წარმოდგენილი;
- წარმავალი დაავადებები, რომლებიც დროებითი შრომისუუნარობის საფუძველი შეიძლება იყოს, კალენდარულად პირველი კვარტალისთვის უფროა დამახასიათებელი, ვიდრე მეორისთვის. მძიმე და ქრონიკული დაავადებების დროს სამუშაოს დროებით არ წყვეტენ;
- პირველი კვარტალის განაწილებებში ბევრი გამოსასვლელი და დასვენების დღეა, რასაც ვერ ვიტყვით მეორე კვარტალზე.

ამრიგად, დასაქმებული მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც, მისივე განმარტებით, დროებით ვერ ასრულებდა სამუშაოს, კალენდარული წლის პირველ კვარტალში, მეორე კვარტალთან შედარებით, ბუნებრივად უფრო მეტია. აქედან გამომდინარე, ასეთი დასაქმებულების რაოდენობის წლიური ზრდა 50 ათასიდან 322 ათასამდე 2020 წლის მეორე კვარტალში მხოლოდ პანდემიით პროვოცირებული კრიზისით შეიძლება აიხსნას.

სამუშაო ძალის გამოკვლევის კითხვარში სამუშაოს დროებით ვერ შესრულების მიზეზად წარმოების/საქმიანობის დროებითი შეჩერება მითითებული არაა. შინაარსით ეს მეტ-ნაკლებად ემთხვევა პასუხის მე-2 ვარიანტს - ტექნიკური ან ეკონომიკური მიზეზები, მაგრამ როგორც პრაქტიკიდან ჩანს, რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ამ ფორმულირებას, როგორც ლოკდაუნს (ანტიპანდემიურ შეზღუდვებს) არ აღიქვამს. სწორედ ამითაა განპირობებული 2020 წლის

მე-2 კვარტალში „სხვა“ მიზეზის დომინირება (81 პროცენტი). აღსანიშნავია, რომ ანალოგიური პასუხის ხვედრითი წონა 1-ლ კვარტალშიც არსებითადაა გაზრდილი, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ 2020 წლის 1-ლ კვარტალში, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სამუშაოს დროებით ვერ შემსრულებელთა რაოდენობის ზრდა პანდემიის პირველ ტალღას უკავშირდება.

ცხრილი #4: დასაქმებულები, რომელთაც ჰქონდათ სამუშაო, რომელსაც დროებით ვერ ასრულებდნენ

	Q1 19	Q1 20	Q2 19	Q2 20	Q1 19	Q1 20	Q2 19	Q2 20
	ათასი კაცი				პროცენტი			
1. ცუდი ამინდი	11.1	17.6	3.1	3.9	10	9	6	1
2. ტექნიკური ან ეკონომიკური მიზეზები	8.4	19.9	6.2	20.1	8	10	12	6
3. შრომითი დავა	0.0	0.0	0.0	0.3	0	0	0	0
4. სწავლა, ტრენინგი	0.8	0.5	0.1	0.3	1	0	0	0
5. სამუშაო სეზონის დამთავრება	30.8	43.6	4.6	2.7	28	23	9	1
6. ავადმყოფობა	15.1	19.6	8.2	12.4	14	10	16	4
7. გამოსასვლელი/დასვენების დღეები	13.8	14.4	0.9	0.8	13	8	2	0
8. შვებულება	6.5	11.5	5.8	7.1	6	6	11	2
9. დეკრეტული შვებულება	3.9	3.6	5.4	4.2	4	2	11	1
10. ოჯახური ან პირადი მიზეზი	15.6	17.0	12.5	10.9	14	9	25	3
97. სხვა	3.9	41.7	3.9	260.0	4	22	8	81
სულ	110.1	189.5	50.5	322.6	100	100	100	100

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

პანდემიით პროვოცირებულ კრიზისს, როგორც სამუშაოს დროებით ვერ შემსრულებელთა რაოდენობის მკვეთრი ზრდის ძირითად მიზეზს, თვალნათლივ ადასტურებს ეკონომიკის სექტორების მიხედვით დასაქმების 2019 და 2020 წლების მე-2 კვარტალების სტრუქტურების შედარება.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, დროებით უმუშევრების წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში თითქმის არ შეცვლილა სოფლის მეურნეობის სექტორში. მათი წილი სამთო-მომპოვებელი და დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში, წლიურ ჭრილში, 2-დან 35 პროცენტამდე გაიზარდა; მშენებლობის სექტორში - 5-დან 36 პროცენტამდე; ტრანსპორტსა და დასაწყობებაში - 3-დან 39 პროცენტამდე. ყველაზე დრამატული ცვლილება სასტუმროებისა და რესტორნების სექტორსა და დასვენების, ხელოვნებისა და გართობის სექტორში მოხდა, სადაც დროებით უმუშევრების წილი, შესაბამისად, 5-დან 59 პროცენტამდე და 7-დან 60 პროცენტამდე გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ დროებით უმუშევრების ხვედრითი წონები სექტორების მიხედვით 2020 წლის მე-2 კვარტალში თითქმის ისეთია, როგორც დასაქმების სტრუქტურის ცვლილების შედეგი სიმულაციური ანალიზის დროს. გამონაკლისს წარმოადგენს განათლების სექტორი, სადაც დროებით უმუშევრების წილი არსებითადაა გაზრდილი, თუმცა ანტიპანდემიური შეზღუდვები განათლების სექტორს მხოლოდ სწავლების დისტანციურ ფორმაზე გადასვლით შეეხო. ამ შეზღუდვას შეიძლება გავლენა მოეხდინა ე.წ. რეპეტიტორებზე, სკოლების და სასწავლებლების დამხმარე პერსონალსა და სხვა კატეგორიებზე.

ცხრილი #5: დასაქმების სტრუქტურა ეკონომიკის სექტორების მიხედვით და მათ შორის დასაქმებულები, რომელთაც ჰქონდათ სამუშაო, რომელსაც დროებით ვერ ასრულებდნენ

	Q2 19			Q2 20		
	დასაქმებული, სულ	მათ შორის დროებით ვერ მუშაობდა	პროცენტული წილი	დასაქმებული, სულ	მათ შორის დროებით ვერ მუშაობდა	პროცენტული წილი
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	670.6	20.5	3	703.3	25.9	4
მრეწველობა	102.6	3.2	3	106.9	37.0	35
ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი	16.6	0.0	0	19.9	1.9	9
წყალმომარაგება; კანალიზაცია, დასუფთავება	18.7	0.4	2	17.9	1.7	10
მშენებლობა	100.6	4.7	5	73.3	26.5	36
ვაჭრობა; ავტომობილების რემონტი	193.5	3.4	2	189.6	58.3	31
ტრანსპორტი და დასაწყობება	84.3	2.4	3	81.4	31.4	39
სასტუმროები და რესტორნები	45.8	2.5	5	32.0	18.9	59
ინფორმაცია და კომუნიკაცია	16.3	0.9	5	20.3	0.9	5
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	31.7	0.9	3	31.3	6.2	20
უძრავი ქონება და პროფესიული საქმიანობები	21.5	0.2	1	22.6	5.2	23
სახელმწიფო მართვა	101.0	3.4	3	85.6	11.1	13
განათლება	157.4	2.7	2	139.1	51.0	37
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	61.6	0.8	1	49.5	7.1	14
ხელოვნება, გართობა და დასვენება	32.5	2.2	7	34.1	20.5	60
სხვა სახის მომსახურება	43.8	1.0	2	46.0	12.2	26
სულ	1698.4	49.1	3	1652.9	315.8	19

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია კიდევ ერთი გარემოება. 2020 წლის მე-2 კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 32 ათასით გაიზარდა სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა რაოდენობა, რომელიც 2013 წლიდან შემცირების განუხრელი ტენდენციით ხასიათდებოდა. სასოფლო თვითდასაქმება შეიძლება განვიხილოთ, როგორც დასაქმების ყველაზე ტრივიალური შესაძლებლობა. სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა გაზრდილი რაოდენობაც თავისუფლად შეიძლება პანდემიით პროვოცირებული ეკონომიკური კრიზისის შედეგად სამუშაოდაკარგულებს მივათვალოთ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ დასაქმებულებიდან გამოვყოფთ 272.1 ათას დროებით უმუშევარს და სოფლის მეურნეობაში ,,ახალ"- 32.7 ათას თვითდასაქმებულს და მივუმატებთ მათ 2020 წლის მე-2 კვარტალში დაფიქსირებულ 235.9 ათას უმუშევარს, მივიღებთ, რომ უმუშევრობის დონე 28.2 პროცენტია.

ცხრილი #6: ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის განაწილების 2019-2020 წლების კვარტალური დინამიკა და 2020 წლის მე-2 კვარტალის კორექტირებული მონაცემები

	Q1 19	Q2 19	Q3 19	Q4 19	Q1 20	Q2 20	Q2 20 - გადა-ანგარიშებული
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	1933.2	1937.5	1902.8	1871.3	1892.7	1919.8	1919.8
დასაქმებული	1685.8	1717.2	1691.2	1666.5	1667.5	1684.0	1379.2
მათ შორის დროებით ვერ მუშაობდა	110.1	50.5			189.5	322.6	272.1
მათ შორის გადავიდა აგროსექტორში						32.7	32.7
უმუშევარი	247.5	220.3	211.6	204.8	225.2	235.9	540.7
უმუშევრობის დონე	12.8%	11.4%	11.1%	10.9%	11.9%	12.3%	28.2%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

საერთო ჯამში, რა შეიძლება ითქვას 2020 წლის მე-2 კვარტალის უმუშევრობის მაჩვენებელზე. რომელი მაჩვენებელია სწორი - 12.3 პროცენტი თუ 28.2 პროცენტი?

შსო-ს კრიტერიუმების მიხედვით, უმუშევრობის დონე ნამდვილად 12.3 პროცენტია, მაგრამ რეალურად სხვა სურათი იკვეთება. გამოკითხვის წინა 7 დღის განმავლობაში დროებით უმუშევრები ფაქტობრივად დასაქმებული არ ყოფილან და მათი დროებით უმუშევრობა მათი სურვილის საწინააღმდეგოდ იყო, ისე, როგორც 32.7 ათსი „ახალი“ სასოფლო თვითდასაქმებული, რომელიც საკუთარი მიწის დამუშავებას საკუთარი სურვილით არ შედგომია. 272 ათასი ადამიანის დროებით უმუშევრის რეჟიმში გადასვლა, უპირველეს ყოვლისა, ანტიპანდემიურმა შეზღუდვებმა გამოიწვია, ხოლო ის გარემოება, რომ ეს კონტინგენტი მთლიანად გადავიდა არა შსო-ს კრიტერიუმით უმუშევართა არმიაში, არამედ სამუშაოს აღდგენის მოლოდინის რეჟიმში, იმ პოზიტიურმა მოლოდინმა განაპირობა, რომელიც მასშტაბური საერთაშორისო ფინანსური დახმარების ფონზე მთავრობის ანტიკრიზისულმა ღონისძიებებმა გააჩინა.

ამრიგად, უმუშევრობის ოფიციალური დონის მკვეთრი ზრდა სრულიად რეალური საფრთხეა, მით უმეტეს, რომ უკვე აშკარად გამოიკვეთა პანდემიის მეორე, გაცილებით უფრო ძლიერი, ტალღა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით შევეცადეთ უმუშევრობის საპროგნოზო მაჩვენებლები სხვადსხვა სცენარით გაგვეანგარიშებინა. ამისთვის გამოვიყენეთ უმუშევრობის დონის კვარტალური დინამიკა, ვინაიდან კრიზისი ერთგვაროვნად არ შეხებია მთელი წლის მაჩვენებლებს. ამ შემთხვევაში დაკვირვებების შესაძლო რაოდენობა (44 კვარტალური შეფასება) გაცილებით უფრო სანდო შედეგებს იძლევა, ვიდრე 11 წლიური შეფასება. ამასთან, ტენდენციების უფრო სრულფასოვანი ანალიზისათვის აუცილებელია დროითი მწკრივის სეზონური რყევებისაგან გაწმენდა.

უმუშევრობის საპროგნოზო დონის მაჩვენებლების გაანგარიშება მოხდა შემდეგი თანამიმდევრობით:

- თავდაპირველად გავიანგარიშეთ ფაქტობრივი მაჩვენებლები 2019 წლის ჩათვლით და ტენდენცია 2020 და 2021 წლებისთვის. ტენდენციის განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ სეზონური გავლენისგან გაწმენდილი დროითი მწკრივი, რის შედეგადაც მივიღეთ 2020 და 2021 წლების სეზონური ეფექტისგან გაწმენდილი კვარტალური შეფასებები. ფაქტობრივი მნიშვნელობების გასაანგარიშებლად

სეზონურად შესწორებული კვარტალური მნიშვნელობები შესაბამისი სეზონური კოეფიციენტებით დავაკორექტირეთ, რომელიც 2009-2019 წლების კვარტალური მაჩვენებლების სეზონური დეკომპოზიციის დროს მივიღეთ. ამით პასუხი გავეცით კითხვას, თუ რა მოხდებოდა სხვა თანაბარ პირობებში - რა მაჩვენებლები გვექნებოდა, რომ არ ყოფილიყო პანდემიით პროვოცირებული კრიზისი;

- შემდეგ ეტაპზე 2020 წლის მაჩვენებლები დავაკორექტირეთ სიმულაციური ანალიზის დროს, 2019 წლის მაჩვენებლებთან პროპორციის შესაბამისად, ორი სცენარის მიხედვით:

A. მხოლოდ ანტიპანდემიური შეზღუდვების პირობებში, ანუ რომ ყოფილიყო მხოლოდ შეზღუდვები და რომ არ გატარებულიყო მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებები;

B. მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გათვალისწინებით, ანუ ყველა იმ ღონისძიების მხედველობაში მიღებით, რომლებსაც შეიძლებოდა ჰქონოდათ მყისიერი გავლენა და ზომვადი შედეგები.

- ამის შემდეგ მოვახდინეთ 2009-2020 წლების კვარტალური შეფასებების სეზონური დეკომპოზიცია და ახალი ტენდენციის გაანგარიშება 2021 წლისთვის. 2021 წლის ტენდენციის მაჩვენებლებიც სეზონური კოეფიციენტებით დაკორექტირდა.

დიაგრამა #10: შსო-ს კრიტერიუმით უმუშევრობის დონის კვარტალური დინამიკა ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გათვალისწინებით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

გაანგარიშებებმა გვაჩვენა, რომ უმუშევრობის დონე, რომელიც 2016-2017 წლებში ზრდის შემდეგ უკვე ჩამოყალიბებული შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა, 2020-2021 წლებშიც განაგრძობდა კლებას, რომ არა პანდემია და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები, რომლებიც მკვეთრად გაზრდიან უმუშევრობის დონეს 2020 და 2021 წლებში, თუ კრიზისიდან გამოსვლის შედარებით გრძელვადიანმა ღონისძიებებმა შედეგი არ გამოიღო. უმუშევრობის შედარებით დაბალმა დონემ (12.3 პროცენტი) 2020 წლის მე-2 კვარტალში, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამუშაო ადგილების აღდგენის პოზიტიური მოლოდინის შედეგია, შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს, რეალურად ვითარება გაცილებით რთულია.

მართალია, მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებები არბილებენ პანდემიის ნეგატიურ გავლენას, მაგრამ ეს ღონისძიებები უსასრულო არ იქნება, მათი ფუნქცია მხოლოდ უკვე გამოკვეთილი პრობლემების ოპერატიული მოგვარება იყო. მთავრობის

აღნიშნული ნაბიჯები მხოლოდ შეანელებენ, მაგრამ ვერ შეაჩერებენ უმუშევრობის დონის ზრდას.

კრიზისის საერთო გავლენა უფრო თვალნათლივ წლიურ პროგნოზულ მონაცემებში ჩანს, რომლის თანახმადაც, უმუშევრობის დონე 2020 წელს შეიძლება 20.4 პროცენტამდე გაზრდილიყო, მაგრამ მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების მეშვეობით ეს ზრდა, სავარაუდოდ, 16.7 პროცენტამდე შემცირდება.

ანტიპანდემიური შეზღუდვების განახლების შემთხვევაში, მთავრობის მხრიდან ანტიკრიზისული ღონისძიებების გაგრძელების გარეშე, უმუშევრობის დონემ 2021 წელს, შესაძლოა, 26.9 პროცენტიან ნიშნულს მიაღწიოს. თუ მთავრობა ანტიკრიზისულ ღონისძიებებს 2021 წელსაც გააგრძელებს, უმუშევრობის დონე შეიძლება იყოს 20.0 პროცენტამდე.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებები საგანგებოა და შედარებით მოკლევადიანი: ისინი ძირითადად შექმნილ პრობლემებზე ოპერატიულ რეაგირებას ისახავენ მიზნად. რაც შეეხება კრიზისის შედეგების დაძლევას, ამისთვის აუცილებელია კრიზისიდან გამოსვლის გრძელვადიანი სტრატეგია, რომლის ძირითადი მიმართულებები მთავრობამ უკვე გამოაცხადა და დაიწყო მათი განხორციელება.

დიაგრამა #11: შსო-ს კრიტერიუმით უმუშევრობის დონის წლიური დინამიკა ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გათვალისწინებით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

დღეის მდგომარეობით, მოვლენები დასაქმების სფეროში შესაძლოა შემდეგი სცენარით განვითარდეს: უმუშევრობის დონე განაგრძობს შეუჩერებელ ზრდას, რასაც მოჰყვება სოციალური ფონის არსებითი დაძაბვა, სახელმწიფოს კი აღარ ეყოფა მყისიერი ანტიკრიზისული ღონისძიებებისთვის საჭირო რესურსები, რომელთა შევსებაც, მკვეთრად გაზრდილი უმუშევრობის პირობებში, ძალზე გართულდება. მეორე მხრივ, კვლავინდებურად ასიმეტრიულად გაიზრდება სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა ხვედრითი წონა, რომელიც ისედაც მაღალია. ანუ გაიზრდება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც დაბალმწარმოებლურ საქმიანობაშია ჩართული, რასაც განვითარების ნაკლები პერსპექტივა აქვს.

5. შემოსავლები

5.1. ანტიპანდემიური შეზღუდვების და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების შედეგების სიმულაციური ანალიზი 2019 წლისთვის

შემოსავლებზე ანტიპანდემიური შეზღუდვების და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენის შეფასებისათვის გამოვიყენეთ იგივე მიდგომა, რაც დასაქმებაზე გავლენის შეფასებისას. შეზღუდვების სიმკაცრისა და ხანგრძლივობის მიხედვით, მე-2, მე-3 და მე-4 კვარტალის მონაცემთა ბაზებში დასაქმებიდან მიღებული შემოსავლების მოცულობა დავაკორექტირეთ დასაქმების განყოფილების კოეფიციენტის შესაბამისად (იხ. პარაგრაფი 4.1.).

გარდა ამისა, გავითვალისწინეთ ის გარემოებაც, რომ 2020 წლის მე-2 კვარტალში დიდი ქალაქების დაკეტვამ და კომენდანტის საათის შემოღებამ არსებითად გაართულა სოფლებიდან თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება, რასაც შეიძლება გამოეწვია აგრარული პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების კლება. აღნიშნული შეზღუდვები სულ ერთი თვის განმავლობაში მოქმედებდა, შესაბამისად, 2019 წლის მე-2 კვარტალში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები შესაბამის შინამეურნეობებს 30 პროცენტით შევუმცირეთ.

აღსანიშნავია, რომ მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებებით გათვალისწინებული დახმარებები და შეღავათები მთელი წლის მანძილზე უზრუნველყოფდა შემოსავლების დონის მინიმუმ შენარჩუნებას მაინც.

დიაგრამა #12: ერთი შინამეურნეობის მთლიანი შემოსავალი (ლარი/თვეში) 2019 წლის კვარტალების მიხედვით (სიმულაციური ანალიზის შედეგები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

სიმულაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ 2019 წელს ანტიპანდემიური შეზღუდვების გამო ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავალი 1063 ლარიდან 970 ლარამდე შემცირდებოდა, ხოლო მთავრობის გადაუდებელი ანტიკრიზისული ღონისძიებების სრულად გათვალისწინებით, ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავალი ოდნავ გაიზრდებოდა კიდეც. შემოსავლების კლება ყველაზე დრამატული მე-2 კვარტალში იქნებოდა, ხოლო მე-3 და მე-4 კვარტალებში შემოსავლები ისევ ზრდას დაიწყებდა.

ანტიკრიზისული ღონისძიებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია უშუალოდ დასაქმებასთან დაკავშირებული კომპენსაციები[13]. როგორც სიმულაციურმა ანალიზმა აჩვენა, აღნიშნული ღონისძიებები გარკვეულწილად არბილებს კრიზისულ შოკს. მხოლოდ მათი გათვალისწინებით, 2019 წელს შემოსავლები, ნაცვლად 8.7 პროცენტისა, 6.8 პროცენტით შემცირდებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დასაქმების კომპენსაციის პროგრამები 1.9 პროცენტული პუნქტით შეარბილებდნენ კრიზისის დარტყმას.

ბუნებრივია, რომ მთავრობის ამ ღონისძიებების ბენეფიციარი უპირატესად ქალაქში მცხოვრები მოსახლეობა იქნებოდა, ვინაიდან დაქირავებით დასაქმება ძირითადად ურბანული მოვლენაა.

დიაგრამა #13: ერთი შინამეურნეობის მთლიანი შემოსავლის ცვლილება მხოლოდ დროებით უმუშევრების დახმარების გათვალისწინებით 2019 წელს (სიმულაციური ანალიზის შედეგები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

შემოსავლების ყველაზე დიდი ვარდნით დედაქალაქი და აჭარა გამოირჩევა, რაც სავსებით გასაგებია: თბილისი დაქირავებით დასაქმების ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით ხასიათდება, ხოლო აჭარა - კრიზისისგან ყველაზე მეტად დაზარალებული ტურიზმის სექტორის დომინირებით.

რეგიონებიდან შემოსავლების კლების დაბალი მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში აღინიშნა. შემოსავლების ვარდნა ასევე დაბალი იქნებოდა სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში.

მთავრობის ანტიკრიზისული პროგრამით გათვალისწინებული დახმარებები და შეღავათები ძირითადად 2020 წლის მე-2 და მე-3 კვარტალებზე მოდიოდა. მათგან ზოგი არც არის შემოსავალი, თუმცა მათი საშუალებით ის ხარჯები დაიფარა, რომელიც შინამეურნეობების აუცილებელ ვალდებულებებს წარმოადგენს.

მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებებიდან შინამეურნეობების პირდაპირ ფულად შემოსავალს სამუშაო ადგილის დაკარგვის (დროებით უმუშევრების)

[13] ეს ღონისძიებებია: დაქირავებით დასაქმებული პირების, რომელთაც დაკარგეს სამსახური, დახმარება 6 თვის განმავლობაში, თვეში 200 ლარის ოდენობით და სხვადასხვა კატეგორიის (არასასოფლო) თვითდასაქმებულების ერთჯერადი დახმარება 300 ლარის ოდენობით.

კომპენსაცია, სოციალურად დაუცველი შინამეურნეობების და 17 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება წარმოადგენდა.

სიმულაციური ანალიზის მიხედვით, დროებით უმუშევრობის დახმარების მოცულობა მე-2 კვარტალში, საშუალოდ, თვეში ერთ შინამეურნეობაზე გადაანგარიშებით, 68 ლარი იქნებოდა, მე-3 კვარტალში კი - 16 ლარი. წლის განმავლობაში კი ამ კომპენსაციის საშუალო თვიური მოცულობა 21 შეიძლება ყოფილიყო.

სოციალურად დაუცველი შინამეურნეობების დახმარება მე-2 კვარტალში, ერთ შინამეურნეობაზე გადაანგარიშებით, თვეში 12 ლარი იქნებოდა, მე-3 კვარტალში - 11 ლარი. წლის განმავლობაში საშუალოდ ამ დახმარების მოცულობა, ერთ შინამეურნეობაზე გადაანგარიშებით, 6 ლარი იქნებოდა. ეს, ერთი შეხედვით, ძალიან მცირეა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ დახმარების მიმღები შინამეურნეობების ხვედრითი წონა 11 პროცენტზე ოდნავ მეტია. ამდენად, უშუალოდ დახმარების მიმღები შინამეურნეობებისთვის ფაქტობრივი დახმარება უმნიშვნელო არ იქნებოდა.

17 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება მე-3 კვარტალში საკმაოდ დიდი ზომის იქნებოდა (თვეში საშუალოდ 48 ლარი). იგივე დახმარება, ერთწლიან პერიოდზე გადაანგარიშებით ერთ შინამეურნეობაზე, საშუალოდ, თვეში 12 ლარის მოცულობას მიაღწევდა, თუმცა უშუალოდ ამ დახმარებით მოსარგებლე ოჯახებისთვის ფაქტობრივი დახმარება გაცილებით მეტი იქნებოდა.

შინაარსით შემოსავალი არ არის აგრარული შეღავათები სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის, რაც მიწის მოხვნის, სამეურნეო იარაღების და აგრარული სახარჯი მასალების შეძენის სუბსიდირებას ითვალისწინებს. ამ ღონისძიებიდან შინამეურნეობები, საშუალოდ, თვეში 21 ლარიან სარგებელს მიიღებენ, რაც წლის განმავლობაში 250 ლარი გამოდის. სოფლად მცხოვრები შინამეურნეობისათვის ეს არცთუ უმნიშვნელო შეღავათია.

შემოსავალს ასევე არ წარმოადგენს, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი შეღავათია კომუნალური ხარჯების დაფარვა სახელმწიფოს მიერ, რაც ერთ შინამეურნეობაზე გადაანგარიშებით, თვეში 24 ლარი იქნებოდა.

შემოსავალი არც სასესხო ვალდებულებათა გადავადებაა, მაგრამ, როგორც სიმულაციურმა ანალიზმა აჩვენა, მოცულობით ყველაზე დიდი სწორედ ეს ღონისძიებაა: კრედიტის 6 თვით გადავადებით, საშუალოდ, ერთი შინამეურნეობა 2019 წელს თვეში 59 ლარის შეღავათს მიიღებდა, ხოლო ამ შეღავათით უშუალოდ მოსარგებლე შინამეურნეობა - 332 ლარს.

მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებებით გათვალისწინებული შეღავათები მე-2 და მე-3 კვარტალს მოიცავდა და მისმა საშუალო თვიურმა მოცულობამ, შესაბამისად, 237 და 228 ლარი შეადგინა. მე-4 კვარტალში მხოლოდ აგრარული კომპონენტი და კომუნალური ხარჯების დაფარვა მოქმედებდა, ამდენად, შეღავათების მოცულობაც გაცილებით ნაკლებია. შეღავათების ჯამური მოცულობა საკმაოდ მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ყველაზე რთულ პერიოდში ნაწილობრივ მაინც მოხდეს შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავლების დონის კლების კომპენსაცია.

დიაგრამა #14: მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების სტრუქტურა 2019 წელს, კვარტალების მიხედვით (სიმულაციური ანალიზის შედეგები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

მთლიანობაში, მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებებით დაწესებული ყველა შეღავათის გათვალისწინებით, ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავალი 2019 წელს 3.1 პროცენტით გაიზრდებოდა, საკრედიტო ვალდებულებათა გადავადების კომპონენტის გამოკლებით და სხვა დახმარებების და შეღავათების გათვალისწინებით კი 6 პროცენტით შემცირდებოდა.

დიაგრამა #15: ერთი შინამეურნეობის მთლიანი შემოსავლის ცვლილება, მთავრობის ყველა ანტიკრიზისული ღონისძიების გათვალისწინებით, 2019 წელს (სიმულაციური ანალიზის შედეგები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

აუცილებელია პასუხი გაეცეს კითხვას იმის შესახებ, თუ რამდენად სამართლიანია, რომ შემოსავალს ვუმატებთ ისეთ შეღავათებს, რომლებიც თავისი შინაარსით შემოსავალს არ წარმოადგენს? მით უმეტეს, რომ შემოსავლებს ვუმატებთ ისეთ სარგებელს, როგორიცაა სასესხო ვალდებულებების ექვსი თვით გადავადება?

ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა სრულიად სამართლიანია, ვინაიდან აღნიშნული ღონისძიებებით გათვალისწინებული შეღავათებით მოსარგებლე შინამეურნეობებს აღარ მოუწევდათ გადაუდებელი დანახარჯების გაწევა, რომელთა ანაზღაურება სახელმწიფომ იკისრა.

იგივე შეიძლება ითქვას საკრედიტო ვალდებულებათა გადავადებაზეც. მართალია, ეს ვალდებულებები არ გაუქმებულა და შესაბამისი ხარჯების გაწევა შინამეურნეობებს მომავალში მოუწევთ, მაგრამ კრიზისულ პერიოდში მათგან გათავისუფლება მნიშვნელოვანი შეღავათია და მონეტარულ განზომილებაში ზუსტად იმ მოცულობისაა, რაც აღნიშნული ვალდებულებები იყო.

ქალაქში, ყველა შეღავათის გათვალისწინებით, 2019 წელს ერთი შინამეურნეობის შემოსავალი 1.9 პროცენტით გაიზრდებოდა, ხოლო სასესხო ვალდებულებათა გადავადების გარეშე შემოსავალი 7.8 პროცენტით შემცირდებოდა. სოფლად ანალოგიური მაჩვენებლები, შესაბამისად, 5.2 პროცენტით გაიზრდებოდა და 2.8 პროცენტით შემცირდებოდა.

როგორც ვხედავთ, მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენა სოფლად გაცილებით უფრო პოზიტიურია, ვიდრე ქალაქში, რაც სავსებით გასაგებია, ვინაიდან ანტიპანდემიურმა შეზღუდვებმა უფრო მწვავედ ურბანულ ეკონომიკაზე იმოქმედა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოფლად კრიზისამდეც შედარებით რთული სოციალურეკონომიკური ვითარება იყო.

5.2. მოსალოდნელი შედეგები 2020-2021 წლებში

სიმულაციური ანალიზის შედეგების გათვალისწინებით გავიანგარიშეთ ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი სხვადასხვა სცენარის მიხედვით. გაანგარიშებისთვის გამოვიყენეთ 44 კვარტალური დაკვირვების შედეგად შედგენილი მწკრივი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაცილებით სანდოა, ვიდრე 11 წლიური შეფასება. გაანგარიშება განხორციელდა იგივე თანამიმდევრობით, როგორითაც უმუშევრობის საპროგნოზო მაჩვენებლის გაანგარიშების დროს (იხ. პარაგრაფი 4.1).

გაანგარიშებებმა გვაჩვენა, რომ შინამეურნეობათა შემოსავლების დონე, რომელიც 2009-2019 წლებში განუხრელი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, ამ ტენდენციას 2020 და 2021 წლებშიც შეინარჩუნებდა, რომ არა ანტიპანდემიური შეზღუდვები და მათგან პროვოცირებული კრიზისი, რაც მკვეთრად შეამცირებს დასაქმებას და, შესაბამისად, შემოსავლების დონეს 2020-2021 წლებში, თუ კრიზისიდან გამოსვლის დაგეგმილმა გრძელვადიანმა ღონისძიებებმა შედეგი არ გამოიღო. რაც შეეხება მთავრობის გადაუდებელ ანტიკრიზისულ ღონისძიებებს, ისინი გარკვეულწილად შეასუსტებენ პანდემიის უარყოფით ეფექტებს.

დიაგრამა #16: ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავლის კვარტალური დინამიკა ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გათვალისწინებით (ლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა ჯგუფის გაანგარიშებები

პანდემიით პროვოცირებული კრიზისი რომ არ დაწყებულიყო, 2020 წელს ერთი შინამეურნეობის საშუალო შემოსავალი თვეში შესაძლოა 1144 ლარი ყოფილიყო, რაც 2009-2019 წლებში ჩამოყალიბებული ტენდენციის ბუნებრივი გაგრძელება იქნებოდა. ახლა კი, ანტიპანდემიური შეზღუდვების გამო, ეს მაჩვენებელი, სავარაუდოდ, 1045 ლარამდე შემცირდება. მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გათვალისწინებით, ნომინალური შემოსავლების დონე თვეში, საშუალოდ, 1067 ლარის მახლობლობაში შეიძლება იყოს, ანუ პრაქტიკულად იგივე, რაც 2019 წელს.

დიაგრამა #17: ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავლის წლიური დინამიკა ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გათვალისწინებით (ლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

კრიზისი რომ არ ყოფილიყო, შემოსავლები, საშუალოდ, ერთ შინამეურნეობაზე 2021 წელს თვეში 1200 ლარს მიაღწევდა, რაც წინა წლების ტენდენციის გაგრძელება იქნებოდა. ანტიპანდემიური შეზღუდვების შენარჩუნების შემთხვევაში, ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარების გარეშე, შემოსავლების დონე კვლავ გააგრძელებდა კლებას და 2021 წელს 1032 ლარის მახლობლობაში იქნებოდა. მთავრობის ანტიკრიზისულმა ღონისძიებებმა ეს მაჩვენებელი შეიძლება უმნიშვნელოდ გაზარდოს - დაახლოებით 1073 ლარამდე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შემოსავლების ხსენებული მაჩვენებლები ნომინალურ განზომილებაშია მოცემული, ინფლაციის გათვალისწინებით, რეალურად, ეს ზრდა არ იქნება.

აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების ეფექტი მოკლევადიანია. შემოსავლების გრძელვადიანი და შეუქცევადი ზრდის მისაღწევად აუცილებელია კრიზისიდან გამოსვლის თანმიმდევრული სტრატეგიის გატარება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დასაქმების ზემოთ განხილული ჰიპოთეტური სცენარიდან გამომდინარე, შემოსავლების მდგრადი და შეუქცევადი ზრდის მიღწევა შეუძლებელი იქნება.

6. სიღარიბე

6.1. ანტიპანდემიური შეზღუდვების და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების შედეგების სიმულაციური ანალიზი 2019 წლისთვის

სიღარიბეზე პანდემიით გამოწვეული კრიზისის გავლენის შეფასებისთვის თავდაპირველად ვცადეთ გამოგვეყენებინა სიღარიბის დონის შეფასების ის მიდგომა, რომელსაც დღეს სტატისტიკის ეროვნული სამსახური იყენებს, მაგრამ რამდენიმე მიზეზის გამო უარი ვთქვით ამაზე, კერძოდ:

- სიღარიბის დონის შეფასება ხდება მხოლოდ წლიური მაჩვენებლების საფუძველზე, ხოლო სიღარიბის ზღვარი არის წლიური და არა კვარტალური პერიოდულობის, რასაც ჩვენს შემთვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან კრიზისის პირველმა ტალღამ განსაკუთრებით მე-2 და მე-3 კვარტალი მოიცვა. კრიზისის გავლენა მთელი წლის მანძილზე იდენტური არ ყოფილა;
- სიღარიბის დონის შეფასებისთვის გამოიყენება მთლიანი მოხმარების აგრეგატული მაჩვენებელი, რომლის გასაანგარიშებლად საჭიროა სამომხმარებლო ფასების ინდექსები რეგიონულ დონეზე, აგრეთვე შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯების გაცილებით უფრო დეტალური დეზაგრეგირება, ვიდრე გამოქვეყნებულ მონაცემთა ბაზებშია მოცემული.

სიმულაციური ანალიზისთვის ასეთი კომპლექსური მიდგომის გამოყენების აუცილებლობა არ დგას. ამიტომ კვლევისთვის გამოვიყენეთ შემდეგი პარამეტრები:

- სიღარიბის ზღვარად ავიღეთ დღეს ოფიციალურად მოქმედი საარსებო მინიმუმი, რომლის გაანგარიშების მეთოდიც საქსტატის ვებგვერდზეა მოცემული. აქვეა განთავსებული მისი მნიშვნელობები თვეების მიხედვით. საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მიმართ არსებული კითხვების მიუხედავად, ამ მაჩვენებლის გამოყენება კვლევის მიზნებისთვის ოპტიმალურია, რადგან ჩვენთვის მთავარია ტენდენციების ანალიზი. ამასთან, საარსებო მინიმუმი იმდენად მცირეა, რომ მის მიმართ სიღარიბის დონე უკიდურეს სიღარიბედ შეიძლება შეფასდეს;
- სიღარიბის დონის დასადგენად გამოვიყენეთ შინამეურნეობის მთლიანი მოხმარების მაჩვენებელი, რომელიც მოცემულია შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების მონაცემთა ბაზაში. შინამეურნეობის მთლიანი მოხმარება გადავიანგარიშეთ ერთ ეკვივალენტურ მოზრდილზე და გამოვიყენეთ მასშტაბის ეკონომიის კოეფიციენტი.[14]

თავდაპირველად გავიანგარიშეთ სიღარიბის დონის 2009-2019 წლების კვარტალური დროითი მწკრივი (სიღარიბის ფაქტობრივი დონე). ამის შემდეგ 2019 წლის მონაცემთა ბაზაში თითოეული შინამეურნეობისათვის დავითვალეთ პანდემიური კრიზისის შედეგად მთლიანი მოხმარების შემცირებული დონე, რისთვისაც მთლიანი მოხმარების ფაქტობრივ დონეს გამოაკლდა შემოსავლების კლების მოცულობა. აქვე გავითვალისწინეთ ის, რომ შემოსავლების შემცირება მოხმარების მყისიერად და ზუსტად იმავე მოცულობით კლებას არ ნიშნავს, რადგან შინამეურნეობას შეიძლება ჰქონდეს გარდამავალი მარაგები და დანაზოგი. არსებობს სოციალური კაპიტალიც, რომელიც განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას სწორედ კრიზისის დროს იძენს. შემოსავლების კლების მოხმარების შემცირებაში ასახვის ხარისხის შესაფასებლად

[14] ეკვივალენტურ მოზრდილზე გადაანგარიშებისათვის ეკვივალენტურობის იმავე სკალით ვისარგებლეთ, რაც საქსტატის ვებგვერდზეა განთავსებული. მასშტაბის ეკონომიის ეფექტისათვის კი გამოვიყენეთ 0.8 კოეფიციენტი, რომელსაც სტატისტიკის ეროვნული სამსახური იყენებს სიღარიბის დონის შეფასებისათვის.

ჩავატარეთ ერთ სულზე მთლიანი მოხმარებისა და მთლიანი შემოსავლების ურთიერთდამოკიდებულების რეგრესიული ანალიზი, 2019 წლის მონაცემების მიხედვით.

რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ამ ორ მაჩვენებელს შორის დამოკიდებულება, 2019 წლის მონაცემებით, შედარებით უფრო წრფივია, ვიდრე ლოგარითმული. წრფივი რეგრესიის R2 კოეფიციენტი 0.453 ნიშნულზეა, მაშინ როცა ლოგარითმული დამოკიდებულების იგივე კოეფიციენტი 0.367-ია.

რეგრესიულმა ანალიზმა დაგვანახა, რომ ერთ სულზე მთლიანი შემოსავლების ყოველი დამატებითი ლარი შინამეურნეობების მთლიანი მოხმარების 0.531 ლარით გაზრდას ნიშნავს და პირიქით.

დიაგრამა #18: ერთ სულზე მთლიანი შემოსავლებისა და მთლიანი მოხმარების ურთიერთდამოკიდებულება 2019 წლის მონაცემებით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

შემცირებული მოხმარების მაჩვენებლით გავიანგარიშეთ სიღარიბის დონე პანდემიით პროვოცირებული კრიზისით შემცირებული შემოსავლების პირობებში. ამის შემდეგ თითოეული შინამეურნეობისთვის მოხმარების შემცირებულ დონეს ზუსტად იმავე პრინციპით დაემატა მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებებიდან მიღებული სარგებელი. შედეგად, გავიანგარიშეთ სიღარიბის დონე აღნიშნული ღონისძიებებიდან მიღებული სარგებლის გათვალისწინებით.

სიმულაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ოფიციალური საარსებო მინიმუმის მიმართ სიღარიბის დონე, ანუ უკიდურესი სიღარიბე 2019 წელს 20.4 პროცენტი იყო. სხვათა შორის, ეს შეფასება მხოლოდ 0.9 პროცენტული პუნქტით განსხვავდება საქსტატის მიერ გამოქვეყნებული სიღარიბის დონის 2019 წლის მაჩვენებლისგან. ანუ ჩვენ მიერ გამოყენებული მიდგომა არსებითად განსხვავებული არ არის. კრიზისი რომ 2019 წელს ყოფილიყო, სახელმწიფოსგან ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე სიღარიბის დონე 24.8 პროცენტამდე გაიზრდებოდა, მთავრობის მიერ გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებების შედეგად კი, სიღარიბის დონე 0.9 პროცენტული პუნქტით შემცირდებოდა.

სიღარიბის დონის ზრდა ყველაზე დრამატული მე-2 კვარტალში იქნებოდა: შესაძლოა, მას 30.5-პროცენტიანი ნიშნულისთვის მიეღწია, სახელმწიფოს მხარდაჭერის შედეგად კი, ზრდა უმნიშვნელო (0.1 პროცენტული პუნქტი) იქნებოდა.

მე-3 კვარტალში, მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარების გარეშე, უკიდურესი სიღარიბის დონე ასევე ძალიან მაღალი, 27.7 პროცენტი, იქნებოდა, ხოლო სახელმწიფოს მხარდაჭერის შედეგად, იგი ფაქტობრივზე საგრძნობლად დაბლა, 18.4 პროცენტამდე, ჩამოვიდოდა.

მე-4 კვარტალში, მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარების გარეშე, სიღარიბის დონე ფაქტობრივზე საკმაოდ მაღალი (2.5 პროცენტული პუნქტით) იქნებოდა. ფაქტობრივზე შედარებით ნაკლებად (1.0 პროცენტული პუნქტით), მაგრამ მაინც მაღალი იქნებოდა სიღარიბის დონე სახელმწიფოს მხარდაჭერის შედეგადაც. ამის მიზეზი ისაა, რომ მთავრობის ძირითადი ანტიკრიზისული ღონისძიებები მე-2 და მე-3 კვარტალებზე მოდის.

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფო ანტიკრიზისული პროგრამა საკმაოდ მაღალი სიზუსტით იყო დამიზნებული საზოგადოების ყველაზე მოწყვლად ფენაზე, რამაც უზრუნველყო ამ ფენის შემოსავლების დონის შენარჩუნება და შეაფერხა სიღარიბის დრამატული ზრდა.

დიაგრამა #19: ოფიციალური საარსებო მინიმუმის მიმართ სიღარიბის დონე 2019 წლის კვარტალების მიხედვით (სიმულაციური ანალიზის შედეგები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

სიმულაციური ანალიზის მიხედვით, უკიდურესი სიღარიბის დონე 2019 წელს ქალაქში, კრიზისის შედეგად, 16.4 პროცენტიდან 20.0 პროცენტამდე გაიზრდებოდა, მაგრამ მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენით, იმავე 16.4 პროცენტის დონეზე შენარჩუნდებოდა.

სოფლად სიღარიბე 26.3 პროცენტიდან 27.9 პროცენტამდე გაიზრდებოდა, თუმცა მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების შედეგად, აღნიშნული მაჩვენებელი ფაქტობრივთან შედარებით რამდენადმე დაბლა დაიწევდა (26.3 პროცენტიდან 24.1 პროცენტამდე). ეს იმითაა განპირობებული, რომ სოფლად პანდემიით პროვოცირებული კრიზისის გავლენა შედარებით დაბალი იყო, ხოლო სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები ისეთივე სიზუსტის იყო, როგორც ქალაქში. გარდა ამისა სოფლად სიღარიბე მეტია ქალაქთან შედარებით, ხოლო სიღარიბის ზღვარის მახლობლობაში მყოფი შინამეურნეობების სიმჭიდროვე იმდენად მაღალი, რომ შედარებით უმნიშვნელო დახმარების პოზიტიური ეფექტი საგრძნობია.

დიაგრამა #20: ოფიციალური საარსებო მინიმუმის მიმართ სიღარიბის დონე რეგიონებში და ქალაქი/სოფლის მიხედვით 2019 წელს (სიმულაციური ანალიზის შედეგები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

მხოლოდ თბილისი და აჭარაა ის რეგიონები, სადაც სიმულაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ სიღარიბის დონე მთავრობის ანტიკრიზისული პაკეტის პირობებშიც კი გაიზრდებოდა. ცხადია, ზრდა უფრო ძლიერი სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე იქნებოდა, მაგრამ მხოლოდ ამ ორ რეგიონში ვერ მოხერხდებოდა სიღარიბის დონის შემცირება. აღნიშნულის მიზეზებზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ აქაც უნდა გავიმეოროთ, რომ კრიზისისგან მოწყვლად სექტორებში დასაქმება ყველაზე მეტად სწორედ ამ რეგიონებშია გავრცელებული.

დიაგრამა #21: ოფიციალური საარსებო მინიმუმის მიმართ სიღარიბის დონის ცვლილება (პროცენტული პუნქტი) რეგიონებში და ქალაქი/სოფლის მიხედვით 2019 წელს (სიმულაციური ანალიზის შედეგები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა ჯგუფის გაანგარიშებები

სიმულაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ყველა სხვა რეგიონში მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გარეშე სიღარიბის დონე არსებითად გაიზრდებოდა, მაშინ როდესაც იმავე ღონისძიებების მეშვეობით იგი რამდენადმე შემცირდებოდა კიდეც.

საყურადღებოა მთავრობის ცალკეული ანტიკრიზისული ღონისძიებების სიღარიბის დონეზე ზემოქმედება. როგორც სიმულაციურმა ანალიზმა აჩვენა, მათი გავლენა ქალაქი/სოფლის მიხედვით თითქმის იდენტურია. გამონაკლისი მხოლოდ აგრარული ღონისძიებებია, რომლის გავლენაც ქალაქში სიღარიბის დონეზე ნულოვანია.

დიაგრამა #22: ოფიციალური საარსებო მინიმუმის მიმართ სიღარიბის დონე 2019 წელს ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და მთავრობის სხვადასხვა ანტიკრიზისული ღონისძიების პირობებში (სიმულაციური ანალიზის შედეგები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ცალკე რომელიმე ანტიკრიზისული ღონისძიების განსაკუთრებით გამოყოფა არაკორექტული იქნებოდა, ვინაიდან თითოეულ პროგრამას თავისი სამიზნე სოციალური ჯგუფი ჰყავს. საბოლოო შედეგის - მინიმუმ სიღარიბის ზრდის არდაშვების მიღწევაში - ყველა ღონისძიება თავის წვლილს შეიტანდა.

6.2. მოსალოდნელი შედეგები 2020-2021 წლებში

სიღარიბის მაჩვენებლების საპროგნოზო მნიშვნელობების გაანგარიშებაც იმავე პრინციპების დაცვით მოხდა, როგორც შემოსავლების და უმუშევრობის დონის შემთხვევაში.

გაანგარიშებებმა გვაჩვენა, რომ სიღარიბის დონე, რომელიც 2012-2019 წლებში განუხრელი შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა, განაგრძობდა კლებას 2020 და 2021 წლებშიც, რომ არა ანტიპანდემიური შეზღუდვები და მათი პროვოცირებული კრიზისი, რამაც მკვეთრად შეამცირა დასაქმების და, შესაბამისად, შემოსავლების დონე. ყოველივე ეს აისახა სიღარიბის დონეზე, თუმცა გაანგარიშებებმა აჩვენა, რომ სიღარიბის მაჩვენებელი შეიძლება მკვეთრად მაინც არ გაიზარდოს. ამის მიზეზია ის, რომ ჩვენს მიერ სიღარიბის ზღვარად გამოყენებული საარსებო მინიმუმი ძალიან დაბალია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემოსავლების შემცირების ან, მინიმუმ, არგაზრდის პირობებში, სიღარიბის დონის მატება გარდაუვალია, თუ კრიზისიდან გამოსვლის გრძელვადიანი ღონისძიებები სათანადო შედეგს ვერ გამოიღებს.

მთავრობის შედარებით მოკლევადიანი ანტიკრიზისული ღონისძიებები არსებითად არბილებენ პანდემიის ნეგატიურ გავლენას. უფრო მეტიც, როგორც სიმულაციური ანალიზის საფუძველზე განხორციელებულმა გამოთვლებმა აჩვენა, აღნიშნული ღონისძიებების შედეგად, სიღარიბის კლების ტემპი ჩვეულებრივზე უფრო მაღალი აღმოჩნდა. ეს ანტიკრიზისული პროგრამების დამიზნების მაღალ სიზუსტეზე მეტყველებს - წერტილოვანი დახმარება გაეწია იმათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებოდა, ხოლო უფრო მასშტაბური შეღავათებიდან ის ფორმა შეარჩიეს, რაც მაქსიმალურად გამოადგებოდა მოსახლეობის ყველაზე შეჭირვებულ ნაწილს.

დიაგრამა #23: ოფიციალური საარსებო მინიმუმის მიმართ სიღარიბის დონის კვარტალური დინამიკა, ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გათვალისწინებით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

დიაგრამა #24: ოფიციალური საარსებო მინიმუმის მიმართ სიღარიბის დონის წლიური დინამიკა, ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გათვალისწინებით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

სიმულაციური ანალიზის შედეგად მიღებული წლიური მონაცემებით, 2020 წელს ოფიციალური საარსებო მინიმუმის მიმართ სიღარიბის დონე შეიძლება 19.5 პროცენტამდე ჩამოსულიყო, რაც 2012-2019 წლებში ჩამოყალიბებული ტენდენციის ბუნებრივი გაგრძელება იქნებოდა. თუმცა, ანტიპანდემიური შეზღუდვების გამო (მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გათვალისწინების გარეშე), ეს მაჩვენებელი, სავარაუდოდ, 23.9 პროცენტამდე გაიზრდებოდა. გადაუდებელი ანტიკრიზისული ღონისძიებების გათვალისწინებით კი სიღარიბის დონე, სავარაუდოდ, 18.7 პროცენტის მახლობლობაში იქნებოდა.

პანდემიური კრიზისი რომ არ ყოფილიყო, ოფიციალური საარსებო მინიმუმის მიმართ სიღარიბის დონე 2021 წელს 19.0 პროცენტი იქნებოდა, რაც გააგრძელებდა წინა წლების ტენდენციას. ანტიპანდემიური შეზღუდვების 2021 წელს გაგრძელების შემთხვევაში (მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გათვალისწინების გარეშე), სიღარიბის დონე 23 პროცენტის ზემოთ იქნებოდა, რაც უკიდურესი სიღარიბის ძალიან მაღალი მაჩვენებელია. 2020 წელს მთავრობის მიერ გატარებული ანტიკრიზისული პროგრამების 2021 წელს განმეორების შემთხვევაში კი სიღარიბის დონე კლებას გააგრძელებდა და 18.6 პროცენტამდე ჩამოვიდოდა.

7. საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების სიმულაციური ანალიზი

როგორც უკვე ითქვა მთავრობამ ანტიპანდემიურ შეზღუდვებთან ერთად შეიმუშავა და განახორციელა გადაუდებელი ანტიკრიზისული ღონისძიებების პაკეტი, რომლის ზომვადი კომპონენტები შეძლებისდაგვარად გავითვალისწინეთ წინამდებარე კვლევაში, როდესაც დავუშვით, რომ პანდემიით პროვოცირებული კრიზისი 2019 წელს მოხდა. სიმულაციურმა ანალიზმა აჩვენა, თუ რამდენად ეფექტიანი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს ღონისძიებები 2019 წელს, რომლის ფაქტობრივი სტატისტიკური მონაცემები უკვე არსებობს.

მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების დასაქმებაზე, შემოსავლებსა და სიღარიბეზე გავლენის განხილვამდე მნიშვნელოვანია ბენეფიციარი შინამეურნეობების რაოდენობრივი შეფასება. ამ გზით შესაძლებელი იქნება აღნიშნული ღონისძიებების დაფარვის ხარისხის განსაზღვრა.

სიმულაციური ანალიზის მიხედვით, მთავრობის თითოეულ ანტიკრიზისულ ღონისძიებას თავისი ბენეფიციარი შინამეურნეობები ეყოლებოდა. ამასთანავე ერთსა და იმავე შინამეურნეობას სხვადასხვა სახის სარგებლის მიღების შესაძლებლობა ექნებოდა. მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა იქნებოდა ისეთი, რომელსაც არცერთი ანტიკრიზისული ღონისძიება არ შეეხებოდა: მათი წილი 1 პროცენტზე ნაკლებია. შინამეურნეობების 20 პროცენტი მხოლოდ ერთი ღონისძიებიდან მიიღებდა სარგებელს. შინამეურნეობების 31 პროცენტი ორი ღონისძიებით ისარგებლებდა, 30 პროცენტი კი - სამით; 15 პროცენტი 4 სხვადასხვა ღონისძიებიდან მიიღებდა სარგებელს ან შეღავათს, ხოლო 3 პროცენტი ხუთი სხვადასხვა ღონისძიების ბენეფიციარი იქნებოდა.

დიაგრამა #25: შინამეურნეობების განაწილება სახელმწიფო ანტიკრიზისული პროგრამების რაოდენობის მიხედვით, რომლითაც შეეძლოთ ესარგებლათ (ათასის შინამეურნეობა, სიმულაციური ანალიზის შედეგები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების სამიზნე ჯგუფები შემდეგნაირად განაწილდა:

- დროებით უმუშევრების დახმარებას, სიმულაციური ანალიზის მიხედვით, შინამეურნეობების 34 პროცენტი მიიღებდა;

- კომუნალური ხარჯების დაფარვით პრაქტიკულად ყველა შინამეურნეობა ისარგებლებდა;
- სოფლის მეურნეობაში დახმარებას შინამეურნეობათა 28 პროცენტი მიიღებდა;
- ბავშვების დახმარებით შინამეურნეობების 40 პროცენტი ისარგებლებდა;
- სოციალური დახმარებას შინამეურნეობების 12 პროცენტი მიიღებდა;
- საკრედიტო ვალდებულებათა გადავადებიდან შეღავათით შინამეურნეობების 35 პროცენტი ისარგებლებდა.

ამდენად, ქვეყანაში პრაქტიკულად არ იქნებოდა შინამეურნეობა, რომელიც მთავრობის ანტიკრიზისული პროგრამით არ ისარგებლებდა.

დიაგრამა #26: მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებებით დაფარვის ხარისხი - პროცენტული წილი შინამეურნეობებისა, რომლებსაც შეეძლოთ ესარგებლათ (სიმულაციური ანალიზის შედეგები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

დიაგრამა #27: შინამეურნეობების განაწილება მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების მიხედვით, რომლითაც შეეძლოთ ესარგებლათ (პროცენტი, სიმულაციური ანალიზის შედეგები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

შინამეურნეობების მხოლოდ 20 პროცენტამდე ისარგებლებდა მარტო ერთი ღონისძიებით და ეს თითქმის ასპროცენტიანი მოცვის მქონე კომუნალური ხარჯების დაფარვის პროგრამაა. ღონისძიებების კომბინაციის გავრცელების სიხშირის მიხედვით მეორე ადგილზე კომუნალური ხარჯების დაფარვის და სოფლის მეურნეობაში დახმარების პროგრამების კომბინაციაა.

სიღარიბის ზრდის პრევენციაში, როგორც ქალაქში, ისე სოფლად ყველზე დიდ წვლილს საკრედიტო ვალდებულებების გადავადების პროგრამა შეიტანდა, რომელიც სიღარიბის ზრდას 29.4 პროცენტით შეაფერხებდა. მისი გავლენა სოფელსა და ქალაქში დაახლოებით ერთნაირი იქნებოდა. კრიზისულ ვითარებაში ამ ტვირთისგან გათავისუფლება, თუნდაც დროებით, მნიშვნელოვნად წაადგებოდა შინამეურნეობებს.

სიღარიბის დონის ზრდას არსებითად შეაფერხებდა (ქალაქად 24.7, ხოლო სოფლად 19.8 პროცენტით) დროებით უმუშევართა კომპენსაციის ღონისძიება, რომელიც მე-2 და მე-3 კავრტალებში იმოქმედებდა.

22 პროცენტით „დაამუხრუჭებდა“ სიღარიბის ზრდას კომუნალური გადასახადების სახელმწიფოს მიერ ანაზღაურება. ამ კომპონენტის მნიშვნელობა ქალაქში საგრძნობლად მაღალი იქნებოდა, სოფელთან შედარებით.

2.8 პროცენტით შეაფერხებდა სიღარიბის ზრდას აგრარული კომპონენტი, რომელიც მხოლოდ სოფლად სიღარიბის ზრდას შეუშლიდა ხელს.

სოციალური შემწეობის კომპონენტი სიღარიბის ზრდას 10.8 პროცენტით შეანელებდა და მისი მნიშვნელობა სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის უფრო დიდი იქნებოდა, ვიდრე ქალაქში.

რაც შეეხება 17 წლამდე ბავშვების დახმარების პროგრამას, ის სიღარიბის ზრდას 12.2 პროცენტით შეაფერხებდა, ხოლო მისი გავლენა, როგორც ქალაქში, ისე სოფლად დაახლოებით თანაბარი იქნებოდა.

დიაგრამა #28: მთავრობის სხვადასხვა ანტიკრიზისული ღონისძიების პროცენტული წილი სიღარიბის შემცირებაში (სიმულაციური ანალიზის შედეგები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორთა გაანგარიშებები

დროებით სამუშაოდაკარგულთა ყოველთვიური 200-ლარიანი დახმარება, ოფიციალური მონაცემებით, 343 694 პირმა მიიღო, ხოლო თვითდასაქმებულების ერთჯერადი 300-ლარიანი დახმარება - 171 801 პირმა. სიმულაციური ანალიზის მიხედვით, ყოველთვიურ 200-ლარიან დახმარებას 2019 წელს 326 ათასი დასაქმებული მიიღებდა, რაც დაახლოებით 5 პროცენტით განსხვავდება რეალური მაჩვენებლისგან. იმის გათვალისწინებით, რომ სიმულაციური ანალიზი 2019 წლის მაჩვენებლს ეყრდნობოდა, 2020 წელს დასაქმების სტრუქტურა ოდნავ განსხვავებული შეიძლება ყოფილიყო, 5-პროცენტიანი ცდომილება მაღალი სიზუსტის მაჩვენებელია.

რამდენადმე განსხვავებულია თვითდასაქმებულთა ერთჯერადი 300-ლარიანი დახმარების მიმღებთა რაოდენობის სიმულაციური ანალიზის და ფაქტობრივი მაჩვენებლები. სიმულაციური ანალიზის მიხედვით, აღნიშნულ დახმარებას 2019 წელს 160 ათასი ადამიანი მიიღებდა, თუმცა ფაქტობრივად მიმღებთა რაოდენობამ 171 801 შეადგინა, ანუ 7.4 პროცენტით მეტი სიმულაციურ შეფასებაზე. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ საზოგადოდ თვითდასაქმება შედარებით მაღალი მობილობით ხასიათდება და დასაქმების ამ ფორმით მოცული ადამიანების რაოდენობა 2020 წლის მე-2 კვარტალში, დიდი ალბათობით, განსხვავებული იქნებოდა 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შეიძლება ითქვას, რომ სიმულაციური შეფასება აქაც საკმაოდ მაღალი სიზუსტისაა.

სხვა ანტიკრიზისული ღონისძიებების ფაქტობრივ ბენეფიციართა რაოდენობის მაჩვენებლები ამჟამად გამოქვეყნებული არაა, თუმცა ამ ორი მაჩვენებლის სიმულაციური ანალიზის შედეგებთან ასეთი მაღალი თანხვედრა აჩვენებს, რომ მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებები იმ ალგორითმით ხორციელდება, რომელიც მისი წარდგენის დროს იქნა გაცხადებული.

მთლიანობაში, სიმულაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ სახელმწიფო ანტიკრიზისული ღონისძიებები მოსახლეობის სოციალური ყოფის სწორედ იმ სექტორებზე იყო ორიენტირებული, რომელსაც ანტიპანდემიური შეზღუდვები განსაკუთრებით მწვავედ შეეხო:

- დროებით უმუშევარ დასაქმებულთა დახმარების პროგრამა უზრუნველყოფდა შინამეურნეობების შემოსავლების მინიმალურ დონეზე მაინც შენარჩუნებას. სიმულაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ეს პროგრამა თავის დანიშნულებას საკმაოდ ეფექტიანად ასრულებს;
- კომუნალური ხარჯების დაფარვის ღონისძიება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მცირეშემოსავლიანი შინამეურნეობებისათვის იქნებოდა, რომლებისთვისაც კომუნალური ხარჯების დაფარვა საკმაოდ მძიმე ტვირთია. სიმულაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ამ პროგრამის წვლილი სიღარიბის შემცირებაში მნიშვნელოვანია;
- სასოფლო-სამეურნეოდახმარებისპროგრამამნიშვნელოვანსარგებელსმოუტანდა სოფლად მცხოვრებ შინამეურნეობებს, რაც აჩვენა კიდეც სიმულაციურმა ანალიზმა და დაადასტურა ფაქტობრივმა მონაცემებმაც;
- 17 წლამდე ბავშვების ფინანსური დახმარება ერთობ რელევანტურ ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან კრიზისის პირობებში განსაკუთრებით მოწყვლადი ბავშვიანი შინამეურნეობები არიან;
- სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც სოციალურად დაუცველ ოჯახებზე იყო მიმართული ასევე ადეკვატური გადაწყვეტილებაა, რადგან ამ ღონისძიებით წერტილოვანი სიზუსტის ინტერვენცია საზოგადოების სწორედ იმ ფენაში განხორციელდა, რომელსაც პანდემიური კრიზისის პირობებში საკუთარი რესურსებით შემდგომი გაღარიბებისგან თავის დაღწევის შანსი არ გააჩნია;
- საკრედიტო ვალდებულებათა გადავადების პროგრამამ, რომელიც მხოლოდ

ექვსი თვე მოქმედებდა, კრიზისის პირობებში მნიშვნელოვანი შეღავათი მისცა შინამეურნეობებს.

- საერთო ჯამში, მთავრობის გადაუდებელმა ანტიკრიზისულმა ღონისძიებებმა შედეგი გამოიღო:
- შინამეურნეობების შემოსავლების კლება ისეთი კატასტროფული არ აღმოჩნდა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო;
- სიღარიბის დონის ზრდა არ ყოფილა ისეთი დრამატული, როგორც ეს მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გარეშე იქნებოდა;
- მთავრობის მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა დასაქმებულებსა და დამსაქმებლებში გააჩინა პოზიტიური მოლოდინი, რის შედეგადაც კრიზისამდელ დასაქმებულთა 19 პროცენტი, ნაცვლად იმისა, რომ შსო-ს კრიტერიუმით უმუშევართა რიგებში გადასულიყო, მოლოდინის რეჟიმში გადავიდა.

და მაინც, ანტიკრიზისული სახელმწიფო პროგრამები პანდემიის პირველი ტალღის შედეგების განეიტრალების აუცილებელი პირობაა, მაგრამ არა - საკმარისი. ეს არის მოკლევადიანი და გადაუდებელი ღონისძიებები, მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ პანდემიის მეორე ტალღა გაცილებით უფრო მასშტაბური აღმოჩნდა. იმის გათვალისწინებით, რომ ახალი ანტიპანდემიური შეზღუდვების შემოღებას შესაძლოა საქართველოს ეკონომიკამ ვეღარ გაუძლოს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, მთავრობის გრძელვადიან ღონისძიებებს, რომელთაც ერთი ნაწილი უკვე ამოქმედებულია, მეორე - დაანონსებული, ხოლო მესამე, კრიზისის მიმდინარე ტალღის კვალდაკვალ - შემუშავების პროცესშია.

ძირითადი მიგნებები

1. სიმულაციური ანალიზის მიხედვით, პანდემიით პროვოცირებული ეკონომიკური კრიზისი 2019 წელს რომ დაწყებულიყო, შემდეგი შედეგები გვექნებოდა:
   1.1. უმუშევრობის დონე, ფაქტობრივი 11.6 პროცენტის ნაცვლად, 21.0 პროცენტი იქნებოდა, მთავრობის მიერ გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებების შედეგად კი, ეს მაჩვენებელი 3.9 პროცენტული პუნქტით ნაკლები - 17.1 პროცენტი იქნებოდა;
   1.2. ანტიპანდემიური შეზღუდვების გამო უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალი შეიძლება ყოფილიყო მე-2 კვარტალში, როდესაც ეს მაჩვენებელი ფაქტობრივზე სამჯერ და უფრო მეტი იქნებოდა (34.2 პროცენტი, ნაცვლად ფაქტობრივი 11.4 პროცენტისა);
   1.3. მე-2 კვარტალში ქალაქში უმუშევრობის მაქსიმალურად შესაძლებელი დონე შეიძლება ყოფილიყო 49.6 პროცენტი, ხოლო სოფლად - 18.3;
   1.4. სექტორების მიხედვით დასაქმების მთლიანი სტრუქტურა არსებითად არ შეიცვლებოდა, რისი უმთავრესი მიზეზი აგრარულ სექტორში თვითდასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წონაა. ცალკე იმ სექტორების ხვედრითი წონა, რომლებზეც ანტიპანდემიურმა შეზღუდვებმა იქონია გავლენა, მცირეა და საერთო სტრუქტურაში მათი ცვლილება უმნიშვნელოდ შეიძლება ჩაითვალოს;
   1.5. სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა რაოდენობა, საშუალოდ, 26 ათასით, ანუ 4 პროცენტით გაიზრდებოდა;
   1.6. ყველაზე მეტად სასტუმროებისა და რესტორნების სექტორი დაზარალდებოდა, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 2019 წელს, საშუალოდ, 61 პროცენტით შემცირდებოდა. მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების შედეგად, აღნიშნული ვარდნის ტემპი 36 პროცენტამდე დაეცემოდა;
   1.7. 47 პროცენტით შემცირდებოდა დასაქმება დასვენების, გართობისა და ხელოვნების სექტორში. მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებები ამ კლებას 27 პროცენტამდე შეამცირებდა;
   1.8. მნიშვნელოვნად დაზარალდებოდნენ მრეწველობის, მშენებლობის, ვაჭრობის, უძრავი ქონების და პროფესიული საქმიანობისა და ტრანსპორტის სექტორებში დასაქმებულები (შესაბამისად, 23.7, 32.7, 17.4, 28.8 და 17.4 პროცენტით);
   1.9. საკუთრივ ანტიპანდემიური შეზღუდვების გამო მშენებლობის სექტორში სამუშაოს დაკარგავდა დასაქმებულთა 32.7 პროცენტი, მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების შედეგად კი ეს მაჩვენებელი 20 პროცენტამდე შემცირდებოდა;
   1.10. ჯანმრთელობის დაცვის და ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორებში დასაქმების კლება უმნიშვნელო იქნებოდა.
2. სიმულაციური ანალიზის მიხედვით, ანტიპანდემიური შეზღუდვების გამო ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავალი 1063 ლარიდან 970 ლარამდე შემცირდებოდა, მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებებით გათვალისწინებული დახმარებებისა და შეღავათების შედეგად კი, ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავალი ოდნავ გაიზრდებოდა კიდეც. შემოსავლების კლება ყველაზე დრამატული მე-2 კვარტალში იქნებოდა, ხოლო მე-3 და მე-4 კვარტალებში შემოსავლები ისევ დაიწყებდა ზრდას;
3. ქალაქში, ყველა შეღავათის და დახმარების გათვალისწინებით, 2019 წელს ერთი შინამეურნეობის შემოსავალი 1.9 პროცენტით გაიზრდებოდა, საკრედიტო ვალდებულებების გადავადების გარეშე კი აღნიშნული შემოსავალი 7.8 პროცენტით შემცირდებოდა;

4. სოფლად, ყველა შეღავათის და დახმარების გათვალისწინებით, ერთი შინამეურნეობის შემოსავალი 5.2 პროცენტით გაიზრდებოდა, ხოლო საკრედიტო ვალდებულებების გადავადების გარეშე - 2.8 პროცენტით შემცირდებოდა;
5. სიმულაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ოფიციალური საარსებო მინიმუმის მიმართ სიღარიბის დონე (უკიდურესი სიღარიბე) 2019 წელს 20.4 პროცენტი იქნებოდა, რაც მხოლოდ 0.9 პროცენტული პუნქტით განსხვავდება 2019 წლის სიღარიბის დონის ოფიციალური მაჩვენებლისგან;
6. კრიზისი რომ 2019 წელს დაწყებულიყო, სახელმწიფოს ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე უკიდურესი სიღარიბის დონე 24.8 პროცენტამდე გაიზრდებოდა, მთავრობის მიერ გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებების შედეგად კი, ეს მაჩვენებელი 0.9 პროცენტული პუნქტით შემცირდებოდა;
7. უკიდურესი სიღარიბის დონის ზრდა ყველაზე დრამატული მე-2 კვარტალში იქნებოდა, როდესაც ის 30.5 პროცენტს მიაღწევდა, ხოლო მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების შედეგად ზრდა უმნიშვნელო (0.1 პროცენტული პუნქტი) იქნებოდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ანტიკრიზისული პროგრამა საკმაოდ მაღალი სიზუსტით იყო დამიზნებული უშუალოდ ყველაზე მოწყვლად ფენაზე;
8. უკიდურესი სიღარიბის დონე 2019 წელს ქალაქში, კრიზისის შედეგად, 16.4 პროცენტიდან 20.0 პროცენტამდე გაიზრდებოდა, თუმცა მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების შედეგად, იმავე 16.4 პროცენტის დონეზე შენარჩუნდებოდა;
9. სოფლის უკიდურესი სიღარიბე 26.3 პროცენტიდან 27.9 პროცენტამდე გაიზრდებოდა, თუმცა მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების შედეგად, ეს მაჩვენებელი, ფაქტობრივთან შედარებით, რამდენადმე დაბლა დაიწევდა (26.3 პროცენტიდან 24.1 პროცენტამდე);
10. თბილისსა და აჭარაში უკიდურესი სიღარიბის დონე სახელმწიფო მხარდაჭერის პირობებშიც კი გაიზრდებოდა;
11. ყველა დანარჩენ რეგიონში მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გარეშე უკიდურესი სიღარიბის დონე არსებითად გაიზრდებოდა, თუმცა იმავე ღონისძიებების შედეგად, სიღარიბის დონე რამდენადმე შემცირდებოდა კიდეც;
12. როგორც სიმულაციურმა ანალიზმა აჩვენა, ცალკეული ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენა (აგრარული პროგრამების გარდა), ქალაქი/სოფლის მიხედვით, თითქმის იდენტურია.
13. 2020 წლის მე-2 კვარტალში შსო-ს კრიტერიუმით განსაზღვრული უმუშევრობის ოფიციალური დონე - 12.3 პროცენტი - თითქმის სამჯერ დაბალია უმუშევრობის იმ დონეზე, რომელიც სიმულაციური ანალიზის შედეგად მივიღეთ:
    13.1. 2019 წლის მე-2 კვარტალთან შედარებით, 2020 წლის მე-2 კვარტალში 6.4-ჯერ არის გაზრდილი ისეთი დასაქმებულების რაოდენობა, რომლებმაც განაცხადეს, რომ შინამეურნეობათა ინტეგრირებული გამოკვლევის გამოკითხვის წინა შვიდი დღის განმავლობაში ჰქონდათ სამუშაო, რომელსაც დროებით ვერ ასრულებდნენ: დასაქმებულების ამ კატეგორიის რაოდენობის 50 ათასიდან 322 ათასამდე ზრდა მხოლოდ პანდემიით პროვოცირებული კრიზისით შეიძლება აიხსნას;
    13.2. დროებით უმუშევართა ხვედრითი წონა თითქმის არ შეცვლილა სოფლის მეურნეობის სექტორში. 2-დან 35 პროცენტამდე გაიზარდა მათი ხვედრითი წონა სამთო-მომპოვებელ და დამამუშავებელ მრეწველობაში, 5-დან 36 პროცენტამდე - მშენებლობის სექტორში, 3-დან 39-მდე - ტრანსპორტსა და დასაწყობებაში;
    13.3. ყველაზე დრამატული ცვლილება სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში მოხდა, სადაც დროებით უმუშევრების წილი დასაქმებულთა

საერთო რაოდენობაში 5-დან 59 პროცენტამდე გაიზარდა. ასევე ძალიან მკვეთრი იყო ცვლილება დასვენების, ხელოვნებისა და გართობის სექტორში - 7-დან 60 პროცენტამდე;

13.4. 2020 წლის მე-2 კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 32 ათასით გაიზარდა სოფლად თვითდასაქმებულთა რაოდენობა, რომელიც 2013 წლიდან შემცირების განუხრელი ტენდენციით ხასიათდებოდა. აგრარულ სექტორში თვითდასაქმებულთა გაზრდილი რაოდენობაც პანდემიური კრიზისის შედეგად სამუშაოდაკარგულებს შეიძლება მივათვალოთ;

13.5. თუ დასაქმებულებიდან გამოვყოფთ 272.1 ათას დროებით უმუშევარს და სოფლის მეურნეობაში ,,ახალ" - 32.7 ათას თვითდასაქმებულს და მივუმატებთ მათ 2020 წლის მე-2 კვარტალში დაფიქსირებულ 235.9 ათას უმუშევარს, მივიღებთ, რომ უმუშევრობის დონე 28.2 პროცენტი შეიძლება ყოფილიყო;

13.6. დამატებით 272 ათასი ადამიანის დასაქმებულის რეჟიმიდან დროებით უმუშევრის რეჟიმში გადასვლა, უპირველეს ყოვლისა, ანტიპანდემიურმა შეზღუდვებმა გამოიწვია, ხოლო ის გარემოება, რომ ეს კონტინგენტი მთლიანად არ გადავიდა შსო-ს კრიტერიუმით უმუშევართა კატეგორიაში და სამუშაოს აღდგენის იმედად დარჩა, იმ პოზიტიურმა მოლოდინმა განაპირობა, რომელიც მასშტაბურმა საერთაშორისო ფინანსურმა დახმარებამ და მის საფუძველზე ქვეყნის ხელისუფლების მიერ კრიზისიდან გამოსვლის გრძელვადიანი ღონისძიებების პაკეტის შემუშავებამ შექმნა;

13.7. გაანგარიშებებმა გვაჩვენა, რომ უმუშევრობის დონე, რომელიც 2016 და 2017 წლებში გარკვეული ზრდის შემდეგ უკვე ჩამოყალიბებული კლების ტენდენციით ხასიათდებოდა, რომ არა პანდემიით პროვოცირებული კრიზისი, 2020 და 2021 წლებშიც განაგრძობდა შემცირებას. თუ პანდემია გაგრძელდა და კრიზისიდან გამოსვლის სამთავრობო პროგრამა შედეგს არ გამოიღებს, უმუშევრობის დონე 2020 და 2021 წლებში მკვეთრად გაიზრდება;

14. სიმულაციური ანალიზის შედეგების მიხედვით, უმუშევრობის დონე 2020 წელს შეიძლება 20.4 პროცენტამდე გაზრდილიყო, მაგრამ მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების შედეგად, ეს მაჩვენებელი, სავარაუდოდ, 16.7 პროცენტამდე შემცირდება. 2020 წლის ანალოგიური ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების 2021 წელს გაგრძელების გარეშე, უმუშევრობის დონემ 2021 წელს, შესაძლოა, 26.9 პროცენტს მიაღწიოს. ანტიკრიზისული პროგრამების გაგრძელების შემთხვევაში, 2021 წელს უმუშევრობის დონე 20.0 პროცენტამდე გაიზრდება;

15. სიმულაციური ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, წლიური მონაცემებით, 2020 წელს ერთი შინამეურნეობის საშუალო შემოსავალი თვეში შეიძლება 1144 ლარი ყოფილიყო, რაც 2009-2019 წლებში ჩამოყალიბებული ტენდენციის ბუნებრივი გაგრძელება იქნებოდა. ანტიპანდემიური შეზღუდვების გამო, მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებები რომ არ გატარებულიყო, ეს მაჩვენებელი, სავარაუდოდ, 1045 ლარამდე შემცირდებოდა, მაგრამ მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების განხორციელების შედეგად, ნომინალური შემოსავლების სავარაუდო დონე თვეში საშუალოდ 1067 ლარის მახლობლობაში იქნება;

16. წლიურ მონაცემებით, 2020 წელს უკიდურესი სიღარიბის ოფიციალური დონე შეიძლება 19.5 პროცენტამდე ჩამოსულიყო, რაც 2012-2019 წლებში ჩამოყალიბებული ტენდენციის ბუნებრივი გაგრძელება იქნებოდა. ანტიპანდემიური შეზღუდვების გამო, მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების განხორციელების გარეშე, ეს მაჩვენებელი, სავარაუდოდ, 23.9 პროცენტამდე გაიზრდებოდა. თუმცა აღნიშნული ღონისძიებების შედეგად, უკიდურესი სიღარიბე 18.7 პროცენტამდე შეიძლება შემცირდეს;

17. სიმულაციური ანალიზის მიხედვით, 2020 წელს შინამეურნეობების უმნიშვნელო რაოდენობა (1 პროცენტზე ნაკლები) იქნებოდა ისეთი, რომელსაც არცერთი ანტიკრიზისული პროგრამა არ შეეხებოდა;
18. შინამეურნეობების 20 პროცენტი მთავრობის მხოლოდ ერთი ღონისძიებიდან მიიღებდა სარგებელს, 31 პროცენტი - ორი პროგრამით ისარგებლებდა, ხოლო 30 პროცენტი - სამით. 15 პროცენტი 4 სხვადასხვა ღონისძიებიდან მიიღებდა სარგებელს ან შეღავათს, ხოლო 3 პროცენტი - ხუთიდან;
19. სიმულაციური ანალიზის მიხედვით:
    19.1. დროებით უმუშევართა დახმარების პროგრამიდან სარგებელს შინამეურნეობების 34 პროცენტი მიიღებდა;
    19.2. კომუნალური ხარჯების დაფარვის პროგრამით პრაქტიკულად ყველა შინამეურნეობა ისარგებლებდა;
    19.3. სოფლის მეურნეობის დახმარების პროგრამით შინამეურნეობების 28 პროცენტი ისარგებლებდა;
    19.4. ბავშვების დახმარების პროგრამიდან სარგებელს შინამეურნეობების 40 პროცენტი მიიღებდა;
    19.5. სოციალური დახმარების პროგრამით შინამეურნეობების 12 პროცენტი ისარგებლებდა;
    19.6. საკრედიტო ვალდებულებების გადავადების პროგრამიდან შეღავათს შინამეურნეობების 35 პროცენტი მიიღებდა.
20. 20. მთავრობის ცალკეული ანტიკრიზისული ღონისძიებების როლი უკიდურესი სიღარიბის ზრდის პრევენციაში, სიმულაციური ანალიზის მიხედვით, ასე განაწილდა:
    20.1. ყველზე დიდ წვლილს საკრედიტო ვალდებულებათა გადავადების პროგრამა შეიტანდა, რომელიც სიღარიბის დონის ზრდას 29.4 პროცენტით შეაფერხებდა;
    20.2. სიღარიბის დონის ზრდას 22.8 პროცენტით შეაფერხებდა დროებით უმუშევართა კომპენსაციის პროგრამა, 22 პროცენტით - კომუნალური გადასახადების ანაზღაურება, 10.8 პროცენტით - სოციალური შემწეობის კომპონენტი, 12.2 პროცენტით - ბავშვების დახმარების პროგრამა;
    20.3. 2.8 პროცენტით შეაფერხებდა სიღარიბის ზრდას სოფლად დახმარების პროგრამა აგრარულ სექტორში. სოფლად მისი წილი საკმაოდ არსებითი - 6.7 პროცენტი იქნებოდა;
    20.4. ყოველთვიური 200-ლარიანი დახმარება, ოფიციალური მონაცემებით, 343 694 დროებით უმუშევარმა პირმა მიიღო. სიმულაციური ანალიზის მიხედვით, ამ დახმარებას 2019 წელს 326 ათასი პირი მიიღებდა, რაც დაახლოებით 5 პროცენტით განსხვავდება რეალური მაჩვენებლისგან;
21. თვითდასაქმებულის ერთჯერად 300-ლარიან დახმარებას 2019 წელს 160 ათასი ადამიანი მიიღებდა, მაგრამ ფაქტობრივ მიმღებთა რაოდენობა 171801 ადამიანია, რაც 7.4 პროცენტით აღემატება სიმულაციურ შეფასებას;
22. მხოლოდ ანტიპანდემიურ შეზღუდვებს, მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებები რომ არ გატარებულიყო, შეეძლო 2020 წელს უმუშევრობის დონე 20.4 პროცენტამდე გაეზარდა, ნაცვლად ტენდენციით მოსალოდნელი 11.2 პროცენტისა.

დასკვნა

სიმულაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ პანდემიით გამოწვეული კრიზისის შედეგად, საქართველოს მოსახლეობის შემოსავლები, საშუალოდ ერთ შინამეურნეობაზე გადაანგარიშებით, 2020 წელს შეიძლება 8.7 პროცენტით შემცირებულიყო. მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენით, შემოსავლების ვარდნის ტემპი დაახლოებით 2 პროცენტული პუნქტით მოიკლებს.

მთავრობის ანტიკრიზისული პროგრამის ჰიპოთეტური გაგრძელების შემთხვევაში, 2020 წლიდან შესაძლოა ჩამოყალიბდეს ნომინალური შემოსავლების ზრდის სუსტი ტენდენცია, რაც რეალური შემოსავლების კლებას ნიშნავს, ვინაიდან სახელმწიფო ხარჯების ზრდის არაინფლაციური რესურსი შეზღუდულია. ამასთან, ნომინალური შემოსავლების საგრძნობი ზრდის ტენდენციის ჩამოყალიბება ბევრადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ დაგეგმილი, კრიზისიდან გამოსვლის უფრო გრძელვადიანი ღონისძიებების ეფექტიანობაზე.

შემოსავლების შემცირებიდან გამომდინარე, გარდაუვალია სიღარიბის ზრდა. სიმულაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ უკიდურესი სიღარიბის ოფიციალური დონე, 2020 წელს მოსალოდნელთან შედარებით, 4.4 პროცენტით შეიძლება გაზრდილიყო, რაც სოციალური ფონის მკვეთრ გაუარესებას მოასწავებდა. მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების მეშვეობით სიღარიბის დონე 2020 წელს შესაძლოა რამდენადმე შემცირდეს, რაც კარგ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს და მთავრობის ანტიკრიზისული პროგრამების დამიზნების მაღალ სიზუსტეზე მეტყველებდეს.

მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების 2021 წელს გაგრძელების შემთხვევაში, უკიდურესი სიღარიბის დონის შემცირების სუსტი ტენდენცია შენარჩუნდება, თუმცა სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული რესურსების შეზღუდულობის პირობებში ეს ნაკლებადაა მოსალოდნელი.

მთავრობამ შედარებით მოკლევადიან ანტიკრიზისულ ღონისძიებებთან ერთად წარადგინა კრიზისიდან გამოსვლის უფრო გრძელვადიანი იმ ღონისძიებების პაკეტი, რომელთაც კრიზისის გაგრძელების, კერძოდ, მისი ახალი ტალღის პირობებში, შესაძლოა მოჰყვეს როგორც ანტიკრიზისული, ისე პოსტკრიზისული ეფექტები. აღნიშნული პაკეტის წარდგენამ შრომის ბაზარზე პოზიტიური მოლოდინი შექმნა, რამაც პირველ ეტაპზე უმუშევრობის მაჩვენებლის მკვეთრი მატების პრევენციას შეუწყო ხელი.

შემაჯამებელი დასკვნების სახით შეიძლება ითქვას, რომ:

- შემდგომი ანტიპანდემიური შეზღუდვები გამოიწვევს უმუშევრობის დონის ძალიან მკვეთრ ზრდას, შემოსავლების შემცირებას და სიღარიბის დონის ზრდას;
- მთავრობის ანტიკრიზისულმა ღონისძიებებმა არსებითად შეარბილა კრიზისული დარტყმა. ისინი დამიზნების მაღალი სიზუსტით ხასიათდება და, უწინარეს ყოვლისა, მოსახლეობის ყველაზე უფრო მოწყვლადი ფენებისკენაა მიმართული;
- ხელისუფლების ანტიკრიზისული პაკეტის განხორციელების ფაქტობრივი შედეგების თანხვედრა სიმულაციური ანალიზის შედეგებთან საკმაოდ მაღალია, რაც მასში შემავალი ღონისძიებების ეფექტიანობაზე მეტყველებს;
- განხორციელებულმა ანტიკრიზისულმა ღონისძიებებმა არსებითად შეაფერხა შემოსავლების შემცირება და სიღარიბის ზრდა, მაგრამ ის ნაკლებად ეფექტიანი აღმოჩნდა უმუშევრობის ზრდის შეჩერებისათვის;
- მდგომარეობის შემდგომი გართულების თავიდან აცილება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ გამოცხადებული გრძელვადიანი ღონისძიებები დროულად და მიზანმიმართულად განხორციელდება, რაც, ერთი მხრივ, კრიზისის ახალი ტალღის დარტყმას შეამსუბუქებს, ხოლო, მეორე მხრივ, შექმნის ნიადაგს პოსტკრიზისული ეკონომიკური დინამიკისათვის.

წყაროები

1. საქართველოს მთავრობა, 2020. COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში. https://stopcov.ge/Content/files/Government--report.pdf
2. საქსტატი, 2020. შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის მონაცემთა ბაზები. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/128/2009-2016-tslebis-shinameurneobebis-integrirebuli-gamokvlevis-da-2017-tslis-shinameurneobebis-shemosavlebisa-da-kharjebis-kvlevis-monatsemta-bazebi
3. საქსტატი, 2020. სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზები. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/130/samushao-dzalis-gamokvlevis-monatsemta-bazebi
4. საქსტატი, 2020. ინფლაცია საქართველოში, 2020 წლის აპრილი. https://www.geostat.ge/ka/single-news/1840/inflatsia-sakartveloshi-2020-tslis-aprili
5. International Monetary Fund, 2020. COVID-19 Crisis: More Severe Economic Fallout than Anticipated. A Crisis Like No Other, An Uncertain Recovery. WORLD ECONOMIC OUTLOOK UPDATE, June 2020. https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/06/24/WEOUpdateJune2020
6. International Monetary Fund, 2020. Georgia. Sixth Review Under the Extended Arrangement and Requests for a waiver of Nonobservance of Performance Criterion, Modification of Performance Criteria and Augmentation of Access. IMF Country Report No. 20/149, May 20. https://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2020/05/05/Georgia-Sixth-Review-Under-the-Extended-Arrangement-and-Requests-for-a-Waiver-of-49394
7. UN Comtrade, 2020. International Trade Statistics Database. www.comtrade.un.org/data
8. UNICEF, 2020. Estimating the Impact of COVID-19 on Child Poverty in Georgia Using a Micro-Simulation Model. Report. https://www.unicef.org/georgia/media/4871/file/COVID-19_impact_on_child_poverty_in_Georgia.pdf
9. Gopinath Gita, 2020. The Great Lockdown: Worst Economic Downturn Since the Great Depression. IMF Blog, April 14. https://blogs.imf.org/2020/04/14/the-great-lockdown-worst-economic-downturn-since-the-great-depression/
10. Nadaraia O., Bluashvili A., Chachanidze M., Kordzaia T., 2020. Covid-19 impact on the Georgian Economy. Tbilisi, TBC Capital. http://tbccapital.ge/en/research/reports/covid-19-impact-georgian-economy
11. Papava V., 2020. Coronomic Crisis: When the Economy Is A Hostage to Medicine. Eurasia Review, March 29, https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/
12. კაკულია მ., 2020. კორონომიკური კრიზისის გაკვეთილები საქართველოსთვის. ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი, ტომი XII, N2.